

ქვეყნის გზები



საქართველოს
შენიშნული
კავშირის
გაზეთი
№2 (298)

15 თებერვალი -
15 მარტი 2023

ფასი 150 ლარი

გაეოლის
თვეში ერთხელ

ჰეი, ვინც მოდის მანდ მომავლიდან!
შოთა ნიშნიანიკა



ანა სისვაძე

კოკისპირული წვიმა მონელდა
შენი ნიკაპის სამ რბილ ნაკეცზე
არშინასავით შემოვლებოდა
ცვარი, სიმღერით რომ ნააქეზე.
ნეტავ ოდესმე ისევ მაჩვენა
ზღვას მიდრეკილი მზერა მდუმარე.
მასხოვს მოხვედი, ვით გობელენი
შეშინებული, მასხოვს მწუხარედ
კლივიინდიელი ინდიელები
ყაყაჩოების მოოქრულ ბაღში
ისე ცეკვავენ, როგორც მე და შენ
გვინდოდა ცეკვა ვნებებით აშლილს.
ჩემამდე მოდის, ისე ლოცულობ,
თითქოს რა ხმითაც ლოცულობს ქარი
და ამ ხმის სუნთქვა, ბოლომდე წმინდა,
ჩამესმის, როგორც სიმღერა წყნარი.
ნუ დაივიწყებ, რომ მე ვარ შენთან
უმცირეს, თუნდაც სანყის იმედად.
არ დაგთმობ შავი ბუნების მგოსნად,
არც სამუდამო ყინვის დილემად.
მწარეა, ვიცი, უიმედობით
და დარდით სავსე თეთრი ოთახი.
მოდის, ნუ ნახვალ და თუკი ნახვალ,
მეც გამოვყვები შენს გამოძახილს.

მარტობა გასურს?
გაცეცხლე ყოველგვარ ხმაურს
და შემოდგომის ნაზ ფოთლებში
ჩაიდგი სული.
იფრინე,
თითქოს შენც წაგიღო ძლიერმა ქარმა
და თქვი, რომ მხოლოდ ამ ფრენისთვის
ხარ გამიზნული.

გარეთ ქარია,
სახლში ნოტები კედლებს უთხრობენ,
რაც დამმართნია.
მე თვალებს ვხუჭავ
და ვიძირები
შენს მკაცრ მზერაში
დაშლილ ოცნებად.
როგორც ყოველთვის,
აღბათ დღესაც კი დაილაღე და
გინახავ - ცხადია,

ცოტაც ითმინე
და თავად ნახავ,
რომ ყველაფერი გამოცოცხლდება.
ახლა ახლოს ხარ, როგორც არასდროს,
მაგრამ მანძილი
იტანს თავისას,
-ოჰ, ეს კედლებიც არ ჩუმდებიან,
რომ წმინდა ფიქრით ვიფიქრო შენზე!
და აი ისევ
მივხუჭავ თვალებს,
თითქოს მოვიდა უკვე "გაისად",
მაშ რა გეგონა,
ჩემი სამყარო
გრძნობებით ასე რომ გააქეზე.
ხორცში მიძვრება ღამის ნიავი
და ჩემი სისხლი
ფიქრით ხურდება,
დღეს ვერ მერევა მე ეს სიცივე,
მაგრამ ვფიქრობ, რომ
შენ ხარ საფრთხილო,
მწვერვალზე ავალთ,
-ვფიქრობ ამაზე-
როცა სრულიად გაზაფხულდება,
რომ სამუდამო შენი ალერსი
ქალაქს ისევე გადაარჩილო.
მე ჯერ არა გთმობ,
თუნდაც ამისთვის
მთელმა სამყაროს შემომებრძოლოს.
ქარია გარეთ,
აღბათ ხვალ დილით
(როგორც გუშინ და მის წინ)
ინვიმებს.
მე - თეთრ სამოსში დავხუჭავ
თვალებს,
ისევ მოვძებნი შენს ძვირფას მზერას,
შენ - დაუთმობო
ჩემი ხელიდან
მშვიდად იძინე
მშვიდად იძინე...

ნარმოსახვა

რძისფერ კლდეში ჩაიშალა შენი თმები,
შავო ღამე, სულს რა გითბობს, გამანდე...
ღმერთო ჩემო, როგორ მტკივა უფრთო
მხარი,
ეს უფრთობაც ნეტავ გასტანს სანამდე...
ცას ვუყურებ, ვერას ვხედავ, გახმა ეს
დღეც
და მინაში ჩაიმარხა, როგორც ბზა...
სად ხარ, თეთრო ანგელოზო, ნუთუ
ვერ გრძნობ,
რომ ეკლები მესობიან გზა და გზა...
ოჰ, როდისღა გადავივლის ეს დღეები,
როდის შეძლებს ჩემში იშვას ერატო...
არ იდარდო, სადაცა ხარ, ის ტკივილი,
რაც არ გასურდა, იქნებ არც
დაგემართოს...
მშვიდად იყავ, ველოდები ფრთების
შესხმას,
სანამ სუნთქვა უსიცოცხლოდ კესანობს...
გაემზადე სამასპინძლოდ, ნორჩო ბიჭო,
მონატრებულ სატრფოს რომ მიესალმო...



ბექა ფურცელაძე

სომალე

და შორს გაცურე სომალე საიმპეროდან,
უკანასკნელი ცრემლებია შენში თოქათი,
შენი ფერების მწუხარებაც ცაზე
ალმასფრად,
არსაიდან ხმა, არსით ძახილი შენში
თიბათვის.
და შორს გაცურე სომალე სატალახოდან,
გაუბედავო, გადაცურე ცხრა კლდე და
ლრენი,
კმაყოფილებას ვერ აუხვალ მინიდან
შენით,
ვერ გაიქცევი, ვერ გაექცევი ზეციდან
ზევით.
ღამის გაზაფხულს მიუყვება მთვარე
ნაკადულს,
ხარდანებიდან თრთვილი ნისლი
თალხად იქმნება,
აღლუმებიდან ცაზე ნამი წვიმად იქცევა
და სომალე ჩამოსახვი ზღვებში
ზვირთებად,
გაღვიძებულმა მიატოვე მთებში ქარაჯი,
უკანასკნელი სული ზეცად ნილაბს
მოისხამს,
როდემდე უნდა გაურბოდე შენში მშობარას
და ეს შიში, ამ სამყაროში მზესაც ინახავს.
და შორს გაიქეც სომალე სატალახოდან,
გაუბედავო, გადაცურე ცხრა კლდე და
ლრენი,
აკვანის კარზე უმღერიან წითელ
სამარას,
ხმა ამოიღე, სომალე საიმპეროდან:
ჩურჩულებს ზეცა, სიტყვა არის საქმენი
ჩემი,
ახლად შობილი შურისძიება მთვარისა
ცრემლი,
გულწრფელი შველი, თავისუფალი,
მხდალი ხელი,
აფთრის თვალზე გაქცეული, მშობარა
შველი
და თუ შიშისგან გადავცურავ ცხრა
კლდე და ღრენით,
თქვენ შიშისგან ხმლებსა ლესავთ
ვაჟკაცთა ხელით.
ეჰ, სომალე შორს გაცურე საიმპეროდან,
გაუბედავო, გადაცურე ცხრა კლდე და
ლრენი,
ნისლიან მთებში აბნეულა ბუნება შენში,
სიტყვა ჩვენნი, საქმენი ჩვენი იქმნება
ერი.

თეთრი კაბა

ადამიანიც სიყვარულით იკვებება,
ფორორაკოს

რატომ გიყვარს გვირილები, შენც
გვირილებს ჰგავხარ?
თეთრი კაბა მზეს უნახავს სიყვარულის
ამბავს,
კინარები დაფარნებზე იასამანს ქარგავს,
შოშიების ქორნილია, დარილის კართან.
გეგრგეთაზე მთვარის ცრემლი
სილამაზეს ხატავს,
ალექტრონის ჩაეძინა ბარდის კოშკის
ბაღთან,
ღურაჯები დარაჯობენ გუმბათებზე
დარჯას,
ფრეგატის ჩიტს სამჭედლოზე,
კორელები ლანძღავს.
ზარზმის ზარი ზორნაშოს ხელთ რეკავს
წმინდა ზარზმის,
ქორბუდაზე მეჯინიბე, ამბროზიებს
მარგლავს,
ბედისწერა ნაუშლია როჭოების ჭალა,
ჭალას იქით არწივები, მთის
მწვერვალებს თარგავს.
რატომ გიყვარს გვირილები, შენც
გვირილებს ჰგავხარ?
წეროები ღერო-ღერო იჩეჩავენ ჩალმას,
ბელურები ასწორებენ დედოფალას
კალთას,
იადონის სტვენა ისმის, სამეფო წრის
კართან.
სამოთხის ჩიტს, საქსაფონის მეფის
ჩუმი სევდის,
ფორორაკოს ისევ უყვარს, შოშიების
ქალი,
ისევ უყვარს სიყვარული, თოვლი
ფანტელს ბარდნის,
სიყვარული გულსა შეჭამს მოგონების
ქნარით...
ღერღუტები ღრიანცელობს ღელეს
იქით ღაღღას,
ღრეობაა, ნისქვილს მოაქვს სილამაზის
ქარი,
ამბიონთან ფალკონები საცეცხლურით
დადის,
ღამურები ფეშხუმიდან, ხანუმს
უძღვნის ტარიგს.
კარაკადუს გვირგვინს ასხამს
უგვირგვინო მეფის,
შვილნო ჩემნო, კურთხეულნო, უღელი
გაქვთ ღმერთის,
ხარ ირემი ერთ უღელში რომ შეაბა
ძენით,
უზამთროდ თოვს, უცეცხლოდ წვავს
დაუნერელ მელნით.
თეთრი კაბა მოხატულა, თოვლის
ფანტელს ქარგავს,
რატომ გიყვარს გვირილები, შენც
გვირილებს ჰგავხარ?
სარეცელზე სიო არხევეს შოშიების
ქალ-ვაჟს,
ფორორაკოს ჩასაფრებულს, ვენების
ცეცხლი დაღავს.
ეპოირნის ხარდანებიდან აიწყვიტავს
ჯაჭვნარს,
თეთრი კაბა, ალისფრად შეღებილი
კალთა,
ლამაზმანის ბუმბულს ქარი აშრიანებს
გალმად,
ვიცი, მიყვარს გვირილები,
მეც გვირილებს ვგავარ.



რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ 2021 №3,4,5,6; 2022 №1,2,3,4,5; 2023 №1)

1/1 91

ახალ წელს ჩემს ბინაში შევხვდით. მთელი ოჯახი - და-ძმები, მშობლები. წყნარად, მშვიდად ვიმუშაიფეთ.

მგონი პირველად შევხვდით ახალ წელს ისე, რომ სიმღერა—ცეკვა არ გაგვხსენებია.

ხალისი არ არის. განწყობილება უნდა ყველაფერს. საქართველო განსაცდელშია — რა მებახლწელზეიმება.

2/1 91

„ლიმილის“ პირველი ნომრის რედაქტირება დავამთავრე.

მივაკითხე ვახტანგ ესვანჯიას — ქალაქი ექვსჯერ გაძვირდა. ქალაქს თუ იშოვი, მარტო სტამბის ხარჯები იმდენია, რომ ვერ აუხვალა.

ქალაქი სად გაქრა მეთქი. სადაო დამოსკოვმა 4 ქალაქის ფაბრიკიდან 3 დაკეტა, რომ უურნალ-გაზეთების გამოცემა შემცირდეს და ბევრისა — შეწყდეს.

მაშ ასე, ერთი მხრივ „პრესის თავისუფლება“, მეორე მხრივ ქალაქი არ არის. რა თავში იხლი პრესის თავისუფლებას?

3,4,5,6/1 91

ვწერ ნიგნს „მინანერები სატელეფონო ცნობარზე“.

ზაურ ბოლქვაძეზე, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეებზე, ანზ. აბულაშვილზე, შოთა ნიშნიანიძეზე, რაულ ჩილაჩავაზე უკვე დავწერე.

ვიცი, მტრებს გამიმრავლებს, მაგრამ ვერ შევძელი, არ დამენრა.

ოსები კვლავ დაესხნენ (4, 1 91) თავს ჩვენს მილიციას.

ჩვენ კვლავ მიმტვევლობით ვპასუხობთ.

ხვალ შობაა! 7.

7-10/1 91

გორბაჩოვმა ბრძანებით, იმპერიული მედიდურობით გაგვიუქმა ჩვენი უზენაესი საბჭოს განაწვეტილება ყოფილი სამხრეთ ოსეთის შესახებ და საქართველოსკენ დაძრა სადესანტო ჯარები.

იმ წუთშივე დავწერე საზოგადოება „თვისტომის“ მიმართვა — „მოვუწოდებთ ქართველ ერს!“ უკვე დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“.

9 იანვარს ტელევიზიაში ჩამწერეს — საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ მოვუწოდებ. დავგმე გორბაჩოვის ანტიდემოკრატიული, დაპყრობითი პოლიტიკა, მაგრამ ეთერში არ გადასცეს. შეემინ-

დათ, ხალხი ამხედრდება და სისხლი დაიღვრება.

ზვიადმა სესია ჩაატარა და თავისი განაწვეტილება ოსეთზე ძალაში დატოვა.

სესიაზევე ითქვა, რომ ინტელიგენცია დუმსო.

რა დუმილია, როცა ორჯერ ჩამწერეს და არ გადასცეს.

ვილაცის ტრადიციულ, ბოლშევიკური გონება მაინც მართავს ჩვენს

სალამოს მე ვუწინამძღვრე.

მიშა ძალიან კმაყოფილი დარჩა. საერთოდ მიშა უალრესად კეთილშობილი კაცია, ნამდვილი პოეტი.

მთელი გატაცებით ვწერ ნიგნს „სატელეფონო ნიგნზე მინანერები“. მინდა ყველა ცოცხალი ქართველ მწერალზე მოვასწრო ჩემი აზრის თქმა.

ტელევიზიამ და რადიომ გადმოსცა „თვისტომის“ მიმართვა ჩრდილო

ნახავია. ქალები და ბავშვები რომ გამოარიდეთ, გასაგებია, მაგრამ თქვენ რატომ იქ არა ხართ, ნუთუ სისხლით მოპოვებული სამაჩაბლო უნდა დავთმობთ-მეთქი. იარაღი არა გვაქვს და სიკვდილის გვემინაო.

ქართული სკოლა რომ დაგინვეს ოსებმა, თქვენ რატომღა არ დანვით მათი სკოლები, ამას რა იარაღი უნდა — ნავთი და ასანთი-მეთქი. გაჩუმდნენ. მოუწოდებ დაბრუნდნენ და იბრძოლონ. მე თვით გაგიძღვე-ბით-მეთქი. არა, თქვენი სიკვდილიც არ გვინდაო, „მხედრონმა“ უნდა იბრძოლოსო.

„მხედრონმა“ 30/1-ს გამოაცხადა ერაყში გაგვიშვით საბრძოლველად ამერიკის დასახმარებლად.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ კვლავ მოუწოდა „თვისტომმა“ ლტოლვილთ დაბრუნდნენ სამაჩაბლოში, ხოლო ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა ქართველებმა გაუცვალონ სახლები აქაურ ოსებს და დაბრუნდნენ სამშობლოში.

ზვიადმა საქართველოს დაყოფა „საპრეფექტოებად“ გადაწყვიტა. არ მომწონს პრეფექტი. ნუთუ ქართული „სადროშო“, „საერისთავო“, „საბჭო“, „საგამგებლო“, „საკრებულო“ არ ვარგა?

1-7/11 91

გამზადდები კონფერენციას „საქართველოს თანამედროვე ვითარება“.

„თვისტომის“ კონფერენცია 7 თებერვალს ჩავატარე. სამი მოხსენება იყო:

საქართველოს საგარეო ვითარება — ლევან ალექსიძე.

ადგილობრივი მმართველობის კანონი — ზაურ ჯინჯოლავა.

სამაჩაბლოს საკითხი — ვალერიან გოგოლაშვილი.

ჩემს შესავალ და შემაჯამებელ სიტყვაში დავაყენე სამი საკითხი: ა) კამათის ეთიკის დარღვევის საკითხი, ბ) პრეფექტურის კანონის მექანიკურად გადმოღების გამო, დ) სამაჩაბლოდან ქართული მილიციის გამოყვანის გამო.

მივიღეთ მიმართვები და რეზოლუციები. ვნახოთ თუ დაბეჭდეს გაზეთებმა.

დავინყე ორი ნოველა: „ოინი“ (სიუჟეტი ჩემმა ცოლმა ნათელამ მომანოდა. სხვათა შორის, ცოლის ქება აუგია, მაგრამ უნდა ვაღიარო მკვირცხლი გონების და მაღალი გემოვნების, ჭკვიანი ქალია), „იერიუსალიმი-თბილისი“ — ეს ნოველა ებრაელებს მივუძღვენი.

მეტი რა მექნა ამ ერთ კვირაში. 8-14/11 91

11 თებერვალს ზვიადს ვეახელ. დიდხანს ვილაპარაკეთ. თბილად შემხვდა.

შენ, რომც აღარაფერი გააკეთო დღეიდან, მარტო იმით ხარ უკვდავი, რომ საქართველოში კომუნისტური წყობა დაამხვე-მეთქი.

მერე, მე უფლება მაქვს ნაკლებ გითხრა-მეთქი ორიოდ სიტყვა. სამი ნაკლი ჩამოვუთვალე, სამი შეცდომა.

1) ნუ გადაცდები ეთიკის ნორმებს კა-

ტელევიზიას.

11-14/1 91

გუშინ (10) გადასცეს ტელევიზიით ჩემი ჩანაწერი ეროვნულ დაუმორჩილებლობაზე. ბევრმა დამირეკა.

ნოდარ ადგიშვილმა, ტელევიზიით ჯერ მწერლის ასეთი მომწოდებლური და ვაჟკაცური გამოსვლა არ მომისმენიაო.

შაბათს 13-ში, მთავრობის სასახლის წინ შეკრებილებთან მივედი. შემომეხვივნენ: ბატონო რეზო, რა გვემელებათ.

რა გვემელება და იარაღი უნდა ავისხათ. რა გინდა ახლა აქ. ჩვენ თოფით უნდა გამოვგლიჯოთ ოსებს სამაჩაბლო-მეთქი.

ტაში დამიკრეს.

ორშაბათს მინდა წასვლა ოსეთში, თუ ათამდე კაცი მაინც ავიყოლიე.

ერთხელ დაბადებული ერთხელ უნდა მოკვდეს.

ჩვენ თუ მამულისთვის თავგანწირვის გრძნობა არ დავიბრუნეთ და სიკვდილის შიში არ დავძლიეთ, არაფერი გვიშველის.

11 იანვარს ოსები კვლავ დაესხნენ თავს ქართულ მილიციას. 3 მილიციელი მოგვიკლეს.

„ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე მიტინგებია. ერთხმად გმობს საქართველო გორბაჩოვის 7 იანვრის „საშობაო საჩუქარს“.

ამ დღით (14) რადიომ გადმოსცა, ლიტვაში სისხლისღვრის შესახებ. ტანკებით შევიდა რუსის ჯარი ლიტვაში პრეზიდენტის ბრძანებით.

გორბაჩოვმა საბოლოოდ ჩამოიგლიჯა დემოკრატიის ნიღაბი და თავისი ნამდვილი სახით — ჯალათი დიქტატორის სახით წარუდგა მსოფლიოს.

14-ში სალამოს თიანეთიდან ფარნა მოსიაშვილი მოვიდა.

თიანეთში სახალხო ლაშქარს ვაგროვებთ ოსეთში წასასვლელად. თქვენ რა აზრის ხართო.

თქვენს შორის ჩავდგები და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ-მეთქი.

გახარებული წავიდა. 15-20/1 91

16 იანვარს მიხეილ ქვლივიძის შემოქმედებითი სალამო ჩატარდა „ცოდნის“ დარბაზში.

აიშუარაზი

როგორ ირწეოდა სომალდი

ოსეთში მცხოვრებ ქართველთადმი და აქაური ოსების მიმართ — ურთიერთგაცვლის თაობაზე.

ხვალ 2 საათზე „ლიმილი“ სტამბას უნდა ჩავაბარო.

ვესაუბრე მამუკა ფაჩუაშვილს, წერილზე „დივერსია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ“, არა ხართ-მეთქი მართალი, არ შეიძლება ამგვარი წერილების გამოქვეყნება, რატომ კრავთ ხელს ინტელიგენციას-მეთქი.

21-26/1 91

გორბაჩოვმა ერთხელ კიდევ დასცინა ქვეყანას.

24 იანვარს გამოსცა დადგენილება საბანკო ოპერაციებზე. ეს არის ფაქტიურად ქონების კონფისკაცია და იმპერიის ყველა მოქალაქის ყაჩაღად გამოცხადება.

100 და 50 მანეთიანების გადასახურდავებლად რომ მოიტანენო, სადისტურად განაცხადა პრემიერმა პავლოვმა, ვკითხავთ, სად იშოვეთ ეს ფულიო.

წარმოგიდგენიათ ასეთი დაცინვა? ბანკიდან თვეში მხოლოდ 500 მანეთის გამოტანა შეიძლება. რომ გაგიჭირდეს რამე, დასამარხი ფული უნდა ისესხო.

26 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემთან ვრცელი ინტერვიუა საქართველოს დღევანდელ ვითარებაზე.

27,28/1 91

დღეს გორბაჩოვმა გამოაცხადა, რომ 1 თებერვლიდან სსრკ-ს ყველა დედაქალაქში შევა ჯარი და დაიწყება პატრულირება.

ეს ფაქტიურად დიქტატურის ტრიუმფია!

ესეც შენი გორბაჩოვი. პერესტროიკის ავტორი პირისხლიან ტირანად იქცა.

დღეს შევხვდი შვეციის სათვისტომოს თავმჯდომარის (თავ-რე გიგა თევზაძე) მოადგილეს მარინა აქსელს (ცხონდას). ჩამოვანერინე, რა უნდა გააკეთოს საქართველო-შვეციის ურთიერთობისთვის.

29—31/1 91

სასტუმრო „აფხაზეთში“ ვესაუბრე სამაჩაბლოდან ლტოლვილ ქართველებს. დამფრთხალ-დაშინებულ კაცები გინახავთ? საშინელი სა-

მათის დროს. 2) ოსეთიდან მილიცია არ უნდა გამოგეყვანა, 3) „პრეფექტი“ დემოკრატიის პრინციპებს არ ეთანხმება. პირველი და მესამე შენიშვნა მიიღო, ვიფიქრებო, მეორეზე თქვა, ჩვენ სხვა გზა არ გვქონდაო. რუსმა ულტიმატუმი წაგვიყენაო.

დიდხანს ვილაპარაკეთ. დაღონებული, გაფითრებული მეჩვენა. მინდოდა დამოუკიდებლობამდე მიმეყვანა ქვეყანა, მაგრამ როგორც ჩანს, არ დამცალდებო.

თვალში ცრემლი ედგა. რუსები არ დათმობენ საქართველოს.

12-ში „თბილისმა“ კარგად დაბეჭდა „თვისტომის“ კონფერენცია.

სხვა დღეებში შრომა, წვალება, ბრძოლა.

„ლიმილის“ რეგისტრაციაში გატარებას ზოგი ფუნქციონერი გადაელობა, მაგრამ ზვიადის დახმარებით ყველაფერი მოგვარდა.

15-20/III 91
18 თებერვალს, ღამით, შავნაბადაზე რუსის ჯარი თავს დაესხა იქ განლაგებულ „მხედრონს“. დაიჭრა 4 რუსი და 2 ქართველი, დააპატიმრეს 20 კაცი.

ია მუხრანელი დანიშნეს „ზარიას“ („ვესტნიკ გურზი“) რედაქტორად. მივედი „ლიმილისთვის“ — ერთი ოთახი ვთხოვე. უარი მტკიცა.

21-25/III 91
დაიჭირეს ჯაბა იოსელიანი და „მხედრონის“ წევრთა დიდი ნაწილი. „მხედრონი“ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ემზადებოდაო.

არ მომწონს ეს ამბები. საერთოდ, რეპრესიები არ გვიკადრება.

იქნებ ვცდები? იქნებ ეს „ლონისძიებანი“ აუცილებლად საჭირო იყო? დაველოდოთ „ხვალეს“.

უნივერსიტეტში დიდი მიტინგი ჩატარდა.

მოითხოვდნენ ჯ. იოსელიანის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. თ. ქორიძე კინალამ „განინკენს“ ქალებმა.

უსიამოვნო ხასიათზე დავდექი. ვაპირებდი გამოსვლას ზვიადის პოლიტიკის დასაცავად, მაგრამ იმ წემუტუნ-გნიასში სიტყვის თქმას აზრი აღარ ჰქონდა.

26/III — 4/III 91 წ.
გაზეთ „ულუმბოში“ დაბეჭდილია რედაქტორის — გიორგი ლეონიძის ინტერვიუ ჩემთან (28, II) — „ნუთუ ყველაზე გულჩვილი ჩვენ უნდა აღმოვჩნდეთ?“

ცოტა არ იყოს, ცხარე ინტერვიუა — ვსაყვედურობ მილიციას, რომელმაც ვერ დაიცვა სამაჩაბლო, ვსაყვედურობ სამაჩაბლოელ ქართველ ლტოლვილებს — კურდღლებივით რომ გამოიქცნენ, ვსაყვედურობ მთელს ქართველ ერს — რომელშიც კომუნისტურ წყობას ურთიერთმიშველების, სამშობლოს დაცვის ნიჭი ჩაუკლავს.

„კაბადონიდან“ მაცნობეს, გ. ყორანაშვილს ძალიან ემცხეთა თურმე ჩემი პასუხი. დამცინისო, პასუხი უნდა დამიბეჭდოთო, გაზეთის რედაქციაში მივარდნილა.

ერაყში ომი დასრულდა. 5,6,7/III 91

6-ში ზვიად გამსახურდიამ გვიხმო მწერლები: შ. ნიშნიანიძე, მ. ლებანიძე, გ. გაჩეჩილაძე, გ. გვერდნითელი, მ. ხეთაგური, ი. ბოგომოლოვი და მე. გეთხოვა, მოსკოვში ჩაბრძანდით და იქაურებს სიმართლე უამბეთ საქართველოზეო. დელეგაციის ხელმძღვანელობა მე დამავალა. 8-ში უნდა გავფრინდეთ.

8/III — 13/III 91
მოსკოვში ვართ.

მურმან ლებანიძე და შოთა ნიშნიანიძე 20 წელია ხმას რომ არ სცემდნენ ერთმანეთს. გზაშივე შევარიგე.

ჩავედით. ჩვენს წარმომადგენლობაში ოსები დაგვხვდნენ პლაკატებით — „ქართველი ჩვენი კეთილი ძმა და მასპინძელია“ „დამნაშავეა კრემლი!“

შევხვდით მოშიმშილებს — ვალტერ შურლაიას, გაია თასოვეს და ეთერ შუკვანს.

მოსკოვი, ჩვენს მიმართ დაყრუვდაო, ვ. შურლაიამ. თქვენ, მწერლები თუ გვიშველითო.

ჩვენც მაშინვე ჩავერეთეთ. დავურეკეთ მწერლებს, მოვედეთ რედაქციებს. მივედით ტელევიზიაში — განცხადებით: სანამ გაგრძელდება საქართველოზე ცილისწამებანი?

პირველი საღამო 8-შივე იმ საღამოსვე გავმართეთ საკრებულოში. ყველანი გამოვედით.

მეორე, დიდი შეხვედრა საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურში“ გავმართეთ 11 მარტს 5 საათზე.

უამრავი ხალხი მოვიდა — მწერლები, ჟურნალისტები, უცხოეთის კორესპონდენტები, უბრალოდ მოქალაქენი.

შესავალი სიტყვები მღელვარებით ვთქვი.

მერე დავწყნარდი. პირველი სიტყვა მ. ლებანიძეს მივეცი.

მერე შოთა ნიშნიანიძე, გოგი გაჩეჩილაძე, გურამ გვერდნითელი, მზია ხეთაგური,

იგორ ბოგომოლოვი... დიდი კამათი გაიმართა.

გამოდიან ვლადიმირ სოლოუხინი, ვლადიმირ ვოინა,

იან გოლცმანი, ელიზბარ ანანიავილი,

კარგად ჩატარდა. არ დამავინწყდეს; სოლოუხინმა თქვა, რატომ არ მიიღო ზვიად გამსახურდიამ შევარდნადის მილოცვაო. ვუპასუხე, შევარდნაძემ ზვიადის მამის, დიდი კონსტანტინეს დაკრძალვიდან ერთი კვირის თავზე დააპატიმრა და აწამა ზვიადი-მეთქი. იყო გულწრფელი თავის მილოცვაში ე.შევარდნაძე-თქო.

მე მგონი, გავარდვიეთ ინფორმაციული ბლოკადა.

მოვაქციეთ ხალხი ჩვენი სიმართლისკენ.

ბრალი დავდეთ იმპერიას.

მესამე შეხვედრა 12-ში — მოსკოველ ოსებს შევხვდით, იმავე დღეს მწერალთა კავშირში დიდი თათბირი გავმართეთ რუს მწერლებთან.

შესავალ სიტყვაში გაცოცხლა გამოვთქვი — რატომ სდუმს-მეთქი რუსული მწერლობა.

აკი ასე განებივრებული ვიყავით-მეთქი თქვენი ყურადღებით.

მეორე შეხვედრაზე ნოდარ ნათაძე გვახლდა.

ოსეთის საკითხზე ითხოვა და მივეცი სიტყვა. ყოველ დილით და საღამოს ველაპარაკები ზვიადს ტელეფონით. ძალიან ლელავს, ძალიან ნერვიულობს. ვამშვიდებ — ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი.

12-ში მოსკოვში მუხრანი ჩამოვიდა. ჩაის ვსვამდით სასტუმროში მე, შოთა ნიშნიანიძე და მურმან ლებანიძე. დავგადავა თავზე უსალმოდ, რას მერჩი, კაცო შენო, პირდაპირ მომმართა, ვხედავ ჩემს ადგილზე გნიშნავს ზვიადი, ჩამოდი და დაჯექი ბარემო.

რაზე ატყობ-მეთქი, გამეცინა, რაღა შენ დაგნიშნა დელეგაციის ხელმძღვანელადო. გავვოგნდი.

14/III — 22/III 91

ტელევიზიაში, გაზეთებში არ წყდება საუბრები მოსკოვურ შეხვედრებზე.

მეგონა, ჩემს რუსულზე გაიღიმებდა თბილისი, პირიქით, ყველამ მითხრა, რა დიდი საქმე გააკეთეთო.

გუშინ, 20-ში ვესწრებოდი სესიას. ზვიადმა მოსაწვევი ბარათი გამომიგზავნა.

რაღაც კანონების შელამაზებაზე იყო ლაპარაკი.

გავბრაზდი და ამირან კალაძეს ვუთხარი — როგორ გეკადრებათ ასეთი რამ, თქვენი სესია იმ ოთხი ქართველი ახალგაზრდის დანვის ამბით უნდა დაწყებულიყო-მეთქი.

საშინელი, ვანდალური, კანიბალური ამბავი მოხდა.

ეს ჰიტლერსაც კი არ ჩაუდენია.

გაიქცა ამირანი და განცხადება გააკეთა.

სესია თითქოს გამოერკვა.

21-ში „საქართველოს რესპუბლიკამ“ და „ვესტნიკ გრუზიიმ“ დაბეჭდეს ჩემთან ინტერვიუები.

მთელი დღე უნივერსიტეტში ვქაქანებდი, ვყვიროდი, ვბლაოდი: ნავიდეთ, ვიძიოთ შური ოთხ დამწვარ ქართველზე-მეთქი. გაგიგონია?

კამეჩებივით დაიზღაზნებოდნენ სტუდენტებიც და ჩემი კოლეგა ლექტორებიც.

23/III-31/III — 1,2/IV 91

მთელი კვირა რეფერენდუმის მზადების ნიშნით ჩატარდა.

ელცინი და გამსახურდია ყაზბეგში შეხვდნენ ერთმანეთს.

ხელშეკრულებაში სწერია: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

ამან გააცოფა რსფსრ-ს პარტიული დეპუტაცია და აი შედეგიც.

რსფსრ-მ 31-ში მიიღო რეზოლუცია ოსეთის ავტონომიის აღდგენის შესახებ.

ვინ კითხავდა რსფსრ-ს. ელცინმა გაგვიყდა. ამბობენ ზვიადი რომ არ შეეგება, ამაზედაც გაბრაზდაო.

ასეა თუ ისე; გორბაჩოვს ხელ-ფეხი გაეხსნა.

მანაც არ დააყოვნა და 1 აპრილს მიიღო დადგენილება სამაჩაბლოში საგანგებო წესების შემოღების შესახებ.

ეს იმას ნიშნავს, რომ „ოსეთი“ (!) სამაჩაბლო — ჩვენი მიწა დავკარგეთ.

გაგიჟებული დავდივარ ქუჩებში. კიდევ ერთხელ იზეიმა უნაშუსობამ.

ვაი, მცირერიცხოვანი ერის ბრალი. დღეს ოთარ იოსელიანმა დამირეკა გაზეთ „ცხოვრების“ რედაქტორად დამნიშნესო.

მივედი, მივულოცე, სხვათა შორის ვკითხე: შენ ხომ ვერ მომცემ-მეთქი ერთ ოთახს — „ლიმილისთვის?“

დიდი სიამოვნებითო. მაშ ასე „ლიმილის“ რედაქციის ოთახიც ვიშოვე.

3,4/IV 91

ზვიადის მდივანმა ლალი მანისურაძემ დამირეკა, ზვიადი გიხმობსო.

მივედი. სამი საათი მაცდევინა. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. ბოლოს მოილო მოწყალეობა, შევედი. ფეხზე არ წამოდგა. მეგონა, მადლობის სათქმელად დამიბარა მოსკოვის ეპოპის გამო.

შე კაი კაცო, თუ გძულდი, რატომ დამთანხმდი დელეგაციის ხელმძღვანელობაზეო, მაჯახა. ვინ გითხრათ-მეთქი. მოსკოვში მუხრანისთვის გითქვამს — რას მეტენება ეს ზვიად გამსახურდიასო. არ მინდოდა მოსკოვში წამოსვლაო. სიცრუეა-მეთქი.

მუხრანი ტყუილს არ მეტყუოდაო. გავშრი. ეგ ყველაფერი მუხრანის სინდისზე იყოს-მეთქი და გამოვედი.

აი, რა ტყუილი იკადრა მუხრან მაჭავარიანმა.

4 აპრილს გორბაჩოვის განკარგულებით სამაჩაბლოში რუსის ჯარი შევიდა.

ეს თითქმის ისეთივე დაპყრობა, ანექსიაა საქართველოსი, როგორც იყო საქართველოს 1921 წლის 25 თებერვლის ანექსია.

რას ვიზამთ, დაპყრობილი ვართ ჩვენ უკვე თითქმის ორასი წელია.

მანც რაღაც გამოგვაპარა, რაღაც დავაკელით სამაჩაბლოს პრობლემას.

რა დავაკელით თქვენ ჩემზე უკეთ იცით: არ გვაცალა რეფერენდუმის ბრწყინვალე შედეგების რეალიზება მოსკოვმა.

როგორ „ვეყვარებივართ“ რუსეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს. რა ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება — საქართველოს ანექსიაზე. რაღაც დავაკელით-მეთქი.

ჩვენც როცა ასე ენერგიულად ვართ ერთმანეთის მიმართ ქიშპობაში, ლამის გულგრილნი აღმოვჩნდეთ ველურების მიერ ოთხი ქართველის დანვის ფაქტის მიმართ.

ესე იგი, რაღაც გვაკლია. ესე იგი ჩვენი პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე ჯერ კიდევ შეგნებულ არა გვაქვს. ესე იგი ჯერ კიდევ შორ-შორს დევს ჩვენ არსებაში ფინთიხი და მუგუზალი.

რა უნდა გავაკეთოთ? კრემლის აგრესიას ენერგიული პროტესტი, გამოსვლები, მიტინგები საყოველთაო ზიზი უნდა დავუპირისპიროთ.

დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდნენ ქართველი ლტოლვილები თავიანთ მშობლიურ მიწაზე.

მინის არც ერთი მტკაველი უბრძოლველად არ უნდა დავთმოთ.

და ბოლოს ჩვენს უზენაესს საბჭოს მოვუნდოთ, რა სასტიკადაც უნდა მოგვექცენ და რა დიდიც უნდა იყოს კრემლის დანოლა, არ დაუშვათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენა.

დღეს 4 აპრილს ტელევიზიით გამოვედი და მოვუნოდე ქართველ ხალხს: არ დავთმოთ-მეთქი არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწისა.

5-8/IV 91
ნითელი პარასკევი! აღდგომა! უკეთილშობილესი რელიგიის — ქრისტიანობის ულამაზესი დღესასწაული.

რა ბრძენი და დიადი, რა გაუხუნარია ქრისტე თავისი ცხოვრებითა და ნამებით. როგორ სჭირდება იგი დღეს ამ არეულ კაცობრიობას სათნოებისა და უნაპირო სიკეთის ქადაგებით.

„გიყვარდეთ მტერი თქვენნი“. ახლა ჩვენი უბედურება? არის მითქმა-მოთქმა და მიტინგები: ზვიადმა სამაჩაბლო დაგვაკარგინა და უნდა გადადგესო.

შეუმცდარი არავინ არის, მაგრამ ზვიადის გადადგომის მოთხოვნა სისულელეა.

ახლა ალბათ, სამაჩაბლოს არდაკარგვის ერთადერთი გზა სამაჩაბლოში დასახლდეს, რაც შეიძლება მეტი ქართველი. ლტოლვილებიც დაბრუნდნენ და სხვებიც დაემატონ.

დავურეკავ და ვეტყვი ზვიადს, მაგრამ დამიჯერებს?

ტელევიზიამ „ღიმილის წუთები“ შემოიღო. რა მეღიმიება, მაგრამ გიგა მახვილადეს უარი ვერ ვუთხარი. ჩამწერეს. იუმორის და სატირის მახვილითაც უნდა ვიბრძოლოთ-მეთქი დამოუკიდებლობისთვის.

9 აპრილი, 1991
დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

მწერლებიდან არადაუბუტატი მხოლოდ მე ვიყავი მინვეული სესიაზე. ენით არ გადმოიცემა, რაც დარბაზში სუფევდა.

ვტიროდით და ვეხვეოდით ერთმანეთს.

ბედნიერი ვარ, რომ ამ დღის მომსწრე და მონაწილე ვარ.

ანი თუნდ მოვკვდე, აღარ ვინაღვლი. ხვალიდან დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქე ვარ.

მოვკვდები, როგორც თავისუფალი საქართველოს მოქალაქე?

შეგვარჩენს მძვინვარე რუსეთი ამ ნაბიჯს?

10-13/IV 91
იმპერიამ მაშინვე გვიპასუხა — თავისუფლების ქარტიაზე.

შემოიყვანა ჯარები სამაჩაბლოში. გაგრიდან თბილისისკენ მოემართებიან ტანკები.

ერთი ქვედანაყოფი სამაჩაბლოდან თბილისისკენ მოდის.

გაიფიცა რკინიგზა და ნავსადგურები.

ჩრდილოეთიდან მატარებლები ვერ შემოვლენ, სანამ მოსკოვი არ გაიყვანს სამაჩაბლოდან ჯარებს, გამოაცხადა ზვიადის პრესცენტრმა.

„ვრემია“ კვლავ გამაღიზიანებლად ლაპარაკობს ქართველი „ბავეიკების“ აგრესიაზე მშვიდობიანი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ მიმართ.

საქართველოს რესპუბლიკას მძიმე დღეები უდგას.

არც ერთი ნაბიჯით უკანდახვევა! ვიბრძოლებ თოფით ხელში დამოუკიდებელი საქართველოს დასაცავად.

11 აპრილს „თბილისში“ გამოვქვეყნე ჩემი დამოკიდებულება დამოუკიდებლობის აღდგენის მიმართ სათაურით — „ახლა მთავარია“.

მსოფლიო ისევ სდუმს. საქართველოს დარბევა მსოფლიოს არ ანაღვლებს.

დღეს (13) „თავისუფლებამ“ ორი სიტყვით თქვა საქართველო გაიფიცა რუსის ჯარის სამაჩაბლოდან გაყვანის მოთხოვნით.

ერაყიდან გამოყრილ ქურთებს მთელი მსოფლიო ეხმარება. საქართველოს არავინ.

14, 15/IV 91
ზვიადი 14 აპრილს საქართველოს პრეზიდენტად დავასახელეთ.

ამაში მე ვერ ვხედავ ამბიციურობას (როგორც სხვები ამბობენ).

პრეზიდენტობა ჩვენს პოლიტიკას უფრო დამაჯერებელს გახდის.

მსოფლიო უფრო მოუსმენს პრეზიდენტს, ვიდრე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს.

16-25/IV 91
ყელამდე ჩაფლული ვარ საქმეებში.

უამრავი მთხოვნელი მოდის „თვისტომში“. რაც შემიძლია, ვეხმარები. ზოგნი მიდიან თბილისიდან, ბრუნდებიან ქართველები.

17 აპრილს ანა კალანდაძის საიუბილეო საღამოს (60 წ.) ვუწინამძღვრეთ ვით ანამ ისურვა ასე.

24-ში მცხეთაში, წინამძღვრიანთ კარის სასწავლებელში მქონდა შეხვედრა. ძალიან საინტერესოდ წარიმართა.

დირექტორი — გივი ბადრიშვილი კარგი კაცი ჩანს.

26/IV-30/IV 91
პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება. ბარე 9 კაცმა წამოაყენა კანდიდატურა.

მე, რა თქმა უნდა, ზვიადს მივცემ ხმას.

29 აპრილს მთელს საქართველოში საშინელი მიწისძვრა იყო.

განსაკუთრებით რაჭა დაინგრა, საჩხერეც! ესლა გვაკლდა.

27 აპრილს ზვიადმა მიხმო. მიდი მუხრანთან და გადაეცი, მინდა გამოჩენილმა მწერლებმა დამიჭირონ მხარი პრეზიდენტად არჩევაში, შენ გაუკეთე ორგანიზებაო. მივედი მუხრანთან, რატომ თვითონ არ დამირეკაო, ეწყინა. ალბას სატელეფონოდ არ მიიჩნია-მეთქი. დანერე ტექსტიო, მთხოვა. დავენერე. ამას ფანჯიკიძე არ მოანერსო. შევედი ფანჯიკიძესთან — მოანერა. ახლა სხვებს მოანერინეო. ჯერ შენ მოანერე, შენს ხელმონერას რომ დაინახავენ, სხვებიც მოანერენ-მეთქი, არაო, მე ბოლოს მოვანერო. მოვანერინე შოთას, მურმანს... დილით „საქართველოს რესპუბლიკაში“ მხოლოდ მუხრანის ხელმონერით დაიბეჭდა.

საღამოს მანანა მირეკავს, რატომ სხვებმაც არ მოანერესო...(!) ყველამ მოანერა-მეთქი. გაუკვირდა.

1/V-6/V 91
დავდივარ მეცნიერებთან, სამხედროებთან, გეოლოგებთან... ვეკითხები: შეიძლება თუ არა ტექნიკურად მიწისძვრის ხელოვნურად გამოწვევა.

სსრკ-ს აქვს თუ არა ამის შესაძლებლობა. ზოგი ორჭოფულად იძლევა პასუხს, ზოგი თავს მიქნევს. თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, კრემლი არ დაგვინდობდა.

რა ვიცი, ღმერთო შეგცოდნე. გორბაჩოვი ისეთი ვერაგია, საქართველოს არ დაინდობდა.

3,4 მაისის გაზეთებში „თვისტომის“ სახელით მივმართე საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველებს, გააგებინეთ მთელ მსოფლიოს ჩვენი გასაჭირი და დაგვეხმარეთ-მეთქი.

4,5 მაისს საჩხერეში გავემგზავრეთ მე და იორამ ქემერტელიძე — „ცისკრის“ რედაქტორი. ჩემი დეიდაშვილი. შევხვდით სახლდანგრეულ ხალხს. გავამხნევეთ, მივეფერეთ.

რაც საშუალება მქონდა ფულითაც წავაშველე ხელი ზოგიერთ მათგანს. ხალხი შიშისგან გაოგნებულია. სახლში ვეღარ შედიან შიშით.

დავამშვიდე; მეტი აღარ იქნება-მეთქი. რომ იქნეს?

7/V-12/V 91
ავად ვარ, ვწევარ. მუხლის მყესის ანთება მაქვს. საჩხერეში ყოფნის დროს ნანგრევში ჩამივარდა ფეხი, უხერხულად შემოვტრი-აღდი და მუხლი დავიზიანე.

სამი დღე ვერ ვინძრეოდი, ახლა არა მიშავს. მსოფლიო უღიმღამოდ გვეხმარება.

ჩანს, სომხეთი უნდა იყო, გასაჭირში (სპიტაკი) რომ მთელმა მსოფლიომ ხელი გამოგიწოდოს.

ემიგრაცია არ გვყავს და იმიტომ. საქართველოში საპრეზიდენტო დოლია გამართული.

ზვიადს ლანძღავენ ნათაძე, ადვკაძე, შენგელაია (კანდიდატები) და რომან მიმინოშვილი.

ყველა ამბობს, რა არ ვარგა, მაგრამ უკეთეს, რეალურ გზას არავინ გვთავაზობს.

იქნებ ოსეთის საკითხში ზვიადმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ ნუთუ ყელში უნდა ვეცეთ საქართველოს თავშენიერულ კაცს ამის გამო?

მიწისძვრის მესამე დღესვე, ზვიადმა გაფიცვა და ეროვნული დაუმორჩილებლობა შეწყვიტა.

ბევრი ამბობს, მიწისძვრა კრემლის მოწყობილიაო.

13/V-17/V 91
საპრეზიდენტო მართონი აპოგეას აღწევს.

ზვიადის წინააღმდეგ გაერთიანდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები.

შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან. ერთნი ამბობენ ბაჟით გავმდიდრდებითო, მეორენი საქართველო პატარ-პატარა საერისთავოებად (კუთხეების მიხედვით) დავყოთო, მესამენი — მიწა თათრებსა და სომხებს სამუდამო საკუთრებაში დავურიგოთო, მეოთხენი — რუსებს ნუ გამოვეყოფითო.

ამასწინათ მილიციამ ამხილა ერთი შემზარავი ფაქტი. ადვკაძეს მოსკოვიდან 4 „კაგებეშნიკი“ ჩამოუყვანია თავის პირად დაცვად.

ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატმა მოსკოვთან ალიანსი შეკრა.

ადვკაძეს კარგად ვიცნობ. განათლებული ინტელიგენცია.

თუ მართალია, რასაც მის დაცვაზე ამბობენ, ასეთ ნაბიჯს ადვკაძისგან არ ველოდი.

18/V-24/V 91
21 მაისს რადიოთი გამოვედი და ვთქვი — ერთი რამ ვერ გამოგია, რატომ მოხდა, რომ ოთხივე პრეზიდენტობის კანდიდატმა პირი შეჭკრა-მეთქი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. მ. გორბაჩოვმა წ წელიწადში ქვეყანა ეკონომიკურად გაანადგურა, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი სიმპათიით უტყერის, ხოლო წ თვეში უვალუტო გამსახურდია რა ხერს დაგვაცირდა-მეთქი. ჯერ ხომ ჩვენ, ფაქტიურად, სახელმწიფო არც კი ვართ-მეთქი.

ჩამწერეს ტელესტუდიაშიც, მაგრამ რატომღაც არ გადასცეს. ჩანს, რედაქტორმა მ. ჩომახიძემ იაქტიურა (ჩანერის დროსაც შემნიშნა), რაკილა მე ზვიადზეც ვთქვი პანანკინტელა შენიშვნა — თვითონაც მოზომოს-მეთქი ეპითეტები.

22 მაისს ვიყავი ზვიადთან კაბინეტში. ვესაუბრე. ხომ იცი სიკვდილამდე შენი ძმა ვარ და შენი დამარცხება ჩემი დამარხება იქნება-მეთქი.

ზვიადი მიყვარს და არ მინდა დამარცხდეს.

მართალი ხარ, მაგრამ რატომ მიეცი სიტყვა პრესკონფერენციაზე მოსკოვშიო. ხომ იცი რომ ის ავადმყოფია, შიზოფრენიკიაო.

შენი დეპუტატი ეგ არის და მე საერთოდ არც ერთი თქვენგანის საა-

ვადმყოფო ფურცელში არ ჩამიხედავს-მეთქი. უკან არ დავიხიე. არ მომწონს რადიო-ტელევიზიაში წამდაუნუმ შენს ლექსებს რომ კითხულობენ. გალაკტიონობასაც ნუ შეითავსებ, გაგიჭირდება-მეთქი, კარგად ჩახედე ჩემს ლექსებს და მერე იმ შენს საყვარელ გალაკტიონსო — თვალმოჭუტვით, მითხრა. ერიჰაა!

25/V-27/V 91

24-ში გვიან ღამით გადასცეს ჩემი გამოსვლა ტელევიზიით. მხარი დავუჭირე ზვიადს.

დღეს (27) გამოაცხადებენ კენჭისყრის შედეგებს.

წუხელის ეროვნულ სტადიონზე ქართული გვარდიის აღლუმი იყო.

ცრემლი მომადგა. მოცუხცუხებდნენ უიარაღო ქართველი ჯარისკაცები, ეროვნული გვარდიის ორასიოდე წევრი. რა შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ამაღელვებელი.

ვიღაცამ დაუსტვინა კიდეც ტრიბუნაზე. დიახ, გარეწარიც ბევრი გვირევი. ახლა ვნებები დაცხრება ალბათ, ყველანი ჩვენ-ჩვენს საქმეს დავუბრუნდებით. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს პირველი პრეზიდენტი ჰყავს.

ენახოთ რას იზამს ზვიადი.

მან თავისი ისტორიული მისია ნან-ილობრივ უკვე შეასრულა.

არა მგონია, მომავალში უკან დაიხიოს.

28/V-5/VI 91

დღიურების დასაწერად ვერ ვიცლი. ერთხელ კიდე გადავიკითხე ჩემი ახალი ნოველა „დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება“. არაა ურიგო.

გამოვაქვეყნო? ჯერ ერთი ვერ გაბედავენ მის დაბეჭდვას და მეორეც მაშინვე გადამეკიდებიან „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“.

სამი დღის წინ კომპოზიტორ ჯუმბერ ჯანდიერის გამოსაქომაგებელი წერილი დავეწერე. კაცი უსახსროდ, უსამსახუროდა. დადის ის წერილი ახლა წრეზე და ჯერჯერობით ჩემს „ძმებსაც“ (მ. ფოცხიშვილი, რ. ჯაფარიძე, შ. ნიშნიანიძე...) ემინიათ ხელმოწერის.

გუშინ 4 ივნისს სანდრო მამასახლისმა უნივერსიტეტში ფოტოსურათი გადამიღო და რადიოფორზე ჩამწერა. „ისტორიისთვისო!“

დავჭირდებით ჩვენ ისტორიას?

6/VI-18/VI 91

გამეხარდა სოსო სიგუას დანიშვნა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად. სოსო ნიჭიერი და პატიოსანი ბიჭია.

ძლივს პროფესიონალი მწერალი მოვიდა ჩვენს გაზეთში.

უკვე ერთი წელია, მწერალთა კავშირი არ ფუნქციონირებს.

პარასკევს, დილის 5 საათზე, მინისძვრამ შეგვაბზრიალა. შიშით, არ შემშინებია, მაგრამ არასასიამოვნო გრძობამ შემიპყრო — დგახარ უმნოდ, ვერაფერს ცვლი.

13 ივნისს „ახალ ივერიაში“ დავბეჭდე ინტერვიუ (მესაუბრა ტარიელ სართანია). გულახდილად ვთქვი, რასაც ვფიქრობ.

ახლა ისევ აღზევდება გაძლიერებული მაფია. ისევ დაინყება ლაშქრობანი ჩემს წინააღმდეგ.

19/VI-1/VII 91

ცხელი ზაფხულია.

„ცხოვრებაში“ დავბეჭდე ნოველა „დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება“.

ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი აუიოტაუი მოჰყვებოდა.

ნოველა, რომელიც ეროვნულ ძალთა შერიგების იდეითაა გაჟღერებული, მძაფრად განიცადა მთელმა საქართველომ.

გაზეთი დაიტაცეს. უამრავმა კაცმა დამირეკა. სხვათა შორის არცერთს საყვედური არ უთქვამს.

ნოველამ ჭეშმარიტად გამოაცოცხლა და დააფიქრა საქართველო.

28-ში ერთი მოსმენით (!) მიიღეს კანონი მოქალაქეობის შესახებ.

აპოლონ სილაგაძე შემხვდა და მითხრა, შენზე დიდ თავდასხმას ამზადებენო.

გურამ პეტრიაშვილს ველაპარაკე დღეს (1/VII) რედაქციების შენობის წინ. რატომ არ იღებ ხმას ზოგი მინისტრი რომ სისულელეს ამბობს-მეთქი. ჩამოვუთვალე, ამრეზილად შემომხედა და გამშორდა.

2/VII-16/VII 91

13 ივლისს „ცხოვრებაში“ დაიბეჭდა ჩემი დიალოგი „მოვლენათა ცხელ კვალზე“.

დიდი ამბავი ატყდა. მამუკა ფაჩუაშვილმა მითხრა — ქორიდე ცოფებს ჰყრისო.

ვერ შევძელი გაჩუმება.

ახლახან 7 ლექტორი გააგდეს სულხან-საბას პედიანტიტუტიდან, რექტორიც მიაცილეს.

მაქვს მე უფლება ინტელიგენტს, არ დავიცვა ინტელიგენტები?

თუ ქორიდის რეპრესიებს წავეყრუებთ, ნელ-ნელა „გამოხშირავენ“ მთელს ინტელიგენციას.

17/VII-23/VII 91

ვიცოდი 13 ივნისის და 13 ივლისის „ცხოვრება“ უკვალოდ რომ არ ჩაივლიდა, მაგრამ ამდენ ლანძღვა-გინებას ნამდვილად არ ველოდი.

19 ივლისს „ლიტ. საქართველო“ დამესხა თავს, როგორ გაბედე და ზვიად გამსახურდიას შენიშვნა მიეციო.

ჩმახავენ რაღაცას, ცილს მნამებენ, როგორც შეუძლიათ.

პროზაიკოსი (!) გურამ სხირტლაძე მესხმის თავს.

მუხრან მაჭავარიანი, გურამ ფანჯიკიძე, ენვერ ნიჟარაძე რალამ გაანანყენა? გურამმა მაინც როგორ მოანერა ხელი წერილს ჩემს წინააღმდეგ?

იმ სამდივნოში ერთადერთ კაცს გურამს ვენდობი. არ მჯერა, რომ გამწირავდა.

ვუპასუხებ, თუ გაბედა და დაბეჭდა სოსო სიგუამ.

24/VII 91

„საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემი წერილია.

კიდეც რამდენიმე შენიშვნას ვუმატებ ახალ ხელისუფლებას.

დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემზე აღვირახსნილი გინებაა. თემურ ქორიდე უნიჭოს, გამოგონილ მწერალს და მტრულ ბანაკში გადაბარებულს მიწოდებს.

მივიტანე დღესვე გაზეთში განცხადება: „ხელს ვიღებ მწერლობაზე, თავზე ნაცარს ვიყრი და ვთხოვ ქორიდეს მირჩიოს — რა გზას დავადგე-მეთქი“.

შეიძლება დაბეჭდონ ეს ირონია? ყველაზე კარგი პასუხი ეს იქნება.

აბა, ქორიდესთან სერიოზულ კამათს ხომ არ ვიკადრებ.

25/VII-1/VIII 91

24 ივლისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემი განცხადებაა. თ. ქორიდეს ვპასუხობ, მწერლობას თავს ვანებებ და მირჩიე, როგორ მოვიქცე-მეთქი.

ხარხარება მთელი საქართველო. ამ ირონიით საკმაოდ მაგარი სილაგავანანი ქორიდეს.

ქორიდეც არ „დააყოვნა“ და 25 ივლისსვე „მიპასუხა“.

კარგად გადაგიწყვეტიაო.

31 ივლისს „ცხოვრებაში“ ჩემზე შალვა ამინაშვილის წერილია — „მკითხველის საპროტესტო წერილი თემურაზ ქორიდეს“. ჩემს დასაცავად დაწერილი ეს წერილი სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

ერთი კაცი მაინც გამომიჩნდა დამცველი.

ეუბნება ქორიდეს, ოცდაჩვიდმეტი წლის კომუნისტების მეთოდებით მოქმედებთო.

30 ივლისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ „ლიმილის“ რეკლამაა და ჩემთან საუბარი.

მეკითხებიან, მწერლობას თავს მართლა ხომ არ ანებებთო.

როგორ გეკადრებათ-მეთქი.

2/VIII-25/VIII 91

ცხელი აგვისტო.

სამი ახალი ნოველა დავეწერე. მათ შორის ერთ-ერთს — „მესამე საყვედურის მოლოდინში“ — დავარქვი: „ეს ნოველა თემურაზ ქორიდეს არ ეძღვნება-მეთქი“.

9-18 აგვისტოს მახინჯაურში ვიყავი. დასასვენებელ სახლ „ნარინჯში“ ლექციებს ვუკითხავდი მასწავლებლებს; როგორ უნდა ასწავლონ თანამედროვე ქართული მწერლობა.

ვიყავი ფოთის წყალმოთხილა-მურეთა ევროპის ჩემპიონატის გახსნაზე.

ჩემგან ათიოდე მეტრში მთავრობის ლოჟაში იჯდა ზვიადი.

დიდი პატივი გცვეს ფოთელმა მწერლებმა კუკური კუკულაძემ და მერაბ ასანიძემ. აღფრთოვანებით მეუბნებოდნენ: ბატონო რეზო, თქვენს მხარეს ვართო.

18-ში დავბრუნდი თბილისში და 19-ში მოსკოვში შეთქმულება მოხდა გორბაჩოვის წინააღმდეგ.

ინავეის ბანდამ აიღო ძალაუფლება.

20-ში „საქართველოს რესპუბლიკაში“ მივიტანე წერილი, სადაც ვამბობდი: კომუნისტების აღორძინება არ დავუშვავთ-მეთქი. მაგრამ არ

დაბეჭდეს. რატომ? რედაქტორმა ჯერ ზვიადის პოზიცია გაურკვეველიაო. ჩემი ხომ გარკვეულია-მეთქი. რატომ არ მაძლევთ თავისუფალ მწერალს ტრიბუნას-მეთქი?

მოსკოვი გაერთიანდა ელცინის ირგვლივ და მოხდა სასწაული — შეთქმულება დამარცხდა. გორბაჩოვი (ბრიყვი გორბაჩოვი!) ისევ იმპერატორია. ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს.

მე ვფიქრობ, სწორად მოიქცა ზვიადი, როცა არც ინავეის მხარე დაიჭირა და არც გორბაჩოვის.

გორბაჩოვს ჩვენთვის ხეირი არ დაუყრია და მოსკოვში საიმპერატორო დუელი ჩვენ ისე უნდა აღვიქვათ, როგორც სხვა სახელმწიფოს პრობლემები.

ექვი მაქვს, თვით გორბაჩოვი ხომ არ იყო მე-9 შეთქმული მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში.

ელცინმა რუსეთში შეაჩერა კომპარტიის საქმიანობა, დღეს (25/VIII) გორბაჩოვმა მოანერა ხელი კომპარტიის საქმიანობის შეჩერებაზე მთელ სსრკ-ში.

სწორია. აქამდე უნდა მომხდარიყო. მსოფლიოში არ არსებობს კომუნისტურზე უფრო დანაშაულებრივი პარტია.

26-ში მოსკოვშიც და თბილისშიც დანიშნულია სესიები. საინტერესო ამბები მოხდება.

26-29/VIII 91

რევოლუცია გრძელდება. საბჭოთა კავშირი თითქმის დაიშალა. უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

გორბაჩოვმა კომპარტია ლიკვიდირებულად გამოაცხადა და გენერალური მდივნობიდან გადადგა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ მინისტრად შევარდნაძე მოითხოვა, მაგრამ გორბაჩოვმა და ელცინმა პანკინი დანიშნეს.

ზვიადის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდება.

გაირკვა, რომ შეთქმულების დღეებში მას მიუმართავს პატრიკევისთვის (საქართველოში რუსის ჯარის სარდალი), ინავეის მხარეზე ვარო. თუ ჩვენთან ხარ, გვარდია გააუქმეო, სარდალს შეუთავაზებია, რაზეც ზვიადი დათანხმებულა.

ზვიადმა თურმე საქართველოს სხვადასხვა პარტიათა ლიდერებს ნება არ მისცა იმ დღეებში შეთქმულთა წინააღმდეგ გამოსულიყვნენ.

რა არის ეს? შიში თუ მანევრი?

ჩემი ორგვერდიანი წერილი, რომელიც 20 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ მივიტანე, რომ დაებეჭდათ, ხომ გადავრჩებოდი ამ სირცხვილს?

ხომ მქონია სწორი პოლიტიკური ალლო?

როგორ მწყდება გული, რომ ზვიადს ერთი ჭკვიანი მრჩეველი არ უდგას გვერდით. არადა, ზვიადის მსგავსი განათლებული პატრიოტი მეორე არ ჰყავს დღეს საქართველოს.



ბონდო მუმლაძე

იმერეთის სალაშქრო

მზე რომ თვალს მილულავს, სხივთა თავთავს რომ აკრებს, ვირაც ცისფრად გალილავს იმერეთის გორაკებს.

ბროწეულის მარცვლად მზე ღრუბლებს გადაფანტვია - ცაში მცურავ „ტივებზე“ კოცონები ანთია.

დახვალ ფიქრში გართული - „აქ აკაკის უვლია...“ იმერეთი ქართული მუზის სასწაულია.

სილამაზის ზემი ზეობს „მოდინახედან“, ედემ-ბალი გაშლილა, საითკენაც გახედავ.

მისგან ვერვინ გამყაროს, ჩემი მზე და დედაა, იმერეთი სამყაროს მერვე საოცრებაა.

მტერმა ბევრჯერ გათელა, ვერ ჩაუქრო ხალისი, აქ მღეროდა ნათელა, ახლაც მისი ხმა ისმის.

გიტარაზე წკრიალა ხმით დამღერის „სულიკოს“ (საუკუნის კი არა, ეს სიმღერა სულ იყო).

მაგრამ როდი დაცხრი და აქ სასწაულს სულ ელი, თავბრუს გახვევს ცაცხვის და აკაციის სურნელი.

მთებზე გადაეკიდა მთვარე - ოქროს საყურე და გრძნობ: ლაჟვარდებიდან თვით უფალი დაგვყურებს.

სოფლებს, ტყეებს, ველს დამზერს და დასკვნამდეც მივიდა: - იმერეთი ყველაზე კარგი გამომივიდა!

ღავით აღაშენებელი

მოჯანლდა დიდგორს თურქ-სელჩუკთა შავ-ბნელი ნისლი, ფარ-შუბთ ხეთქება, ხმალთა ელვა, ზუზუნის ისრის.

არ მიუშვირა მოძალადეს მეორე ლოყა, რასაც მომხვედურთა სისხლისღვრა და გაჟღერება მოჰყვა.

მტერი ახლოდან თავს გვესხმოდა, არ გვასვენებდა, ქალებს და ბავშვებს იტაცებდნენ, როგორც ენებათ.

დარგულ-დათესილს თუ დაბუდნულს ჩეხდნენ, ბარდავდნენ, საზღვარიც მიტომ გადასწია დარუბანდამდე.

თათარს, ოსს პატივს მიაგებდა ქართველთ თანაბრად, სამტროდ მოსული კი გაჟუჟა, მოსრა, ალაგმა.

მისი მაღლია, დღეს რომ ისევ ისმის ქართული, საქართველოში დღეს რომ ისევ ქართველი სახლობს, მოხდა „ძლევაი საკვირველი“,

ენით ართქმული, ღმერთთან მივიდა კაცთა შორის ყველაზე ახლოს დავით აღმაშენებლი.

1993 წ. 27 სექტემბერი (სოხუმის დაცემის დღე)

ჩამუხლულია ლუხუმი, კაპარჭშიც არ აქვს ისარი, არა ჩანს გორგასალი და ალგეთს ლეკვებიც მგლისანი.

ნაქცეულია ნიქარა, რქებზე დამსხდარან ყვავები, ძიძგნიან, ფლეთენ მის სხეულს, რა ჟინით, რა გაავებით!

კაენს კაენი ულოცავს, ძმათა სისხლი რომ დაღვარეს, არა ჩანს ბრძენი მინდია, ნაცვლად - ათასი ყვარყვარე.

ოქროს მამონას მონათა გონება დაუბინდია, დედა - სამშობლო შველას გვთხოვს, დუბაისკენ კი მიდიან.

ძარცვა, ძმათაკვლა, ლოთობა, არც დედა ახსოვთ, არც შვილი, სომეხმა ხმალი აიღო, ქართველს უპყრია არშინი.

გონს მოდით! თავსაც დაკარგავთ, მტერი მუქარას გვიგზავნის, რა ჩარჩ-ვაჭრობა ავიტყვადთ, აფხაზეთს გვართმევს ხიზანი!

ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანას ეს რა დროება დაუდგა, რა ძუძუ-მთები ანოვა ამდენ შადიმანს, დაუდ-ხანს.

დავითის ნაცვლად დათუნა, დიდ დათვს რომ ეპირფერება (ჰო, ბაბაია უთხარო, როდესაც დათვი გერევა).

ო, საქართველო, დაჭრილო, თავს დაგყრანტალეებს ყორანი, გენვის შვილთაგან გაყიდულს იუდას ნაამბორალი.

ელირსებაო, - ვაჟამ თქვა, ჩვენ კი... უძრავად ვობდებით, განუკითხავად გვაცვივა, „უფროსი ძმისგან“ ბომბები. სისხლით იცლება ლუხუმი, გველიც არა ჩანს ტიალი, ღმერთო, იხსენი, გვაკმარე სოფლის უკულმა ტრიალი.



კამილა კორინთელი

ოდესღაც

იმ სახლში ოდესღაც გივლია ხშირად... შემოხვიდოდი კრძალვით და ფრთხილად

(მაგრამ რა შეუპოვრად!). ჩამოჯდებოდი უხმოდ და შესცქეროდი ბუხარს, კედელზე დახატულს... მოგქონდა ნაზი ყვავილები, თეთრი და სოსანი.

და როს ნახვიდოდი, იმ ყვავილების მძაფრი სურნელი ათრობდა დიდხანს უძილო ოთახს.

ბატონ კოლაუ ნადირაძეს

მთანმინდის ნიავი სიამეს ჰყენს, ოლენდრები თეთრი... ნითელი... და გლიცინიის შლეგი სურნელი... იმ შესასვლელთან ლომები სთვლემენ, ჰერალდიური და ძველისძველი. მიედინება მდინარე ნელი. დღე იღველფება ზანტი და ცხელი. გასრიალდება გველივით ჭრელი ფიქრი დამწველი, დაუნდობელი! ფერი გლიცინიის ეფრქვევა მთებს...

იმ სანახებში აღარ დავდივარ, იქ მზის სხივები თითქოს გაქვავდა... ის არემარე მონუსხულია.

სული ჩემი კი მონამლულია, ნამებულივით იქ გართხმულია, იმ სანახებში აღარ დავდივარ...

ოქროყანის ლურჯი ღამე... ცაში ვერცხლი ბადრი მთვარის და ურიცხვი ვარსკვლავის...

ვერცხლი თითქოს ყელში გადნა, ვარსკვლავთ გუნდი აღარ ჩანდა, მთვარეც სადღაც გადაქანდა...

სხვა არ იყო ქვეყნად რამე იმ უცნაურ ნათელ ღამეს - ორი გული ანთებული, ერთმანეთის დანატრული.

ო, ნეტავ, ვიგრის ტყავი მქონოდა! ჩამოვკიდებდი ტანსაცმლის კარადაში და საჭიროებისამებრ (ძალიან ხშირად!) მოვისხამდი - როგორც „ლაიკის პლაშჩს“ (ან კაბის ნაცვლად!).

ჩემი იარა და ტკივილი - აფხაზეთი

სისხლი და ცრემლი, ცრემლი და ცეცხლი, და ისევ სისხლი... რამ უნდა გაუძლოს ტყვეების შადრევნებს! გაოგნებული ვუცქერ ნანგრევებს - თემურ-ლენგია თუ ჯალალედინი?! უმამოდ რჩება ახალშობილი, ულამაზესი ჭკნება ყვავილი, ვარსკვლავი ქრება ანთებულ ცაში, გედი დაჭრილი იხრჩობა ზღვაში, ნითელი ბალახი ამოდის ველზე და თოვლის ფიფქი არ დნება ხელზე... განუწყვეტელი ისმის გოდება... დარდი მანვება გულზე ლოდებად.

ჯაბა ქვლივიძე

შეჩერდით, აქ საქართველოა!

შეჩერდით, აქ საქართველოა, გასწიეთ ბინძური ხელები. არ გეყოთ, რაც უკვე დაიხურეთ, მთა-ბარი, ტყე მინდორ-ველები.

ვერ გახვალთ, ჩემზე ვერ გაივლით, მესროლეთ თუ გინდათ, მომკალით. გჯეროდეთ, მე მაინც აღვდგები, მკვდარიც კი, კვლავ შეგებრძოლებით.

რა გინდათ, რას გვერჩით, რას ითხოვთ, საიდან მოხვედით მავანნი, აქ მამულს ვერავის დაგითმობთ, არა ვართ ჩვენ კაცნი ჯაბანნი.

კლდესავით წინ აგელმართებით, არ მოგცემთ დაპყრობის ნებას, სამშობლო ჩვენ მხოლოდ ერთი გვაქვს, ვერ შეძლებთ მის დამონებას.



ომარ მარგველაშვილი

აკადემიკოსი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ინოვაციების და მალალი ტექნოლოგიების საბჭოს წევრი, საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საერთაშორისო და რუსეთის საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი, მწერალთა კავშირის წევრი, 7 წიგნის ავტორი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი 2000 წლიდან, ორჯერ იყო მიწვეული მოსკოვში წითელი მოედნის ტრიბუნაზე 1981 და 1982 წლებში.

აკადემიაში სწავლის დამთავრებისას აუცილებელი იყო დიპლომის დაცვა. ჩემს სადიპლომოზე ძირითადად საკავშირო საგეგმო, მომარაგების და მშენებლობის კომიტეტებში ვმუშაობდი. აქ ვაგროვებდი მასალებს, ვაანალიზებდი და ჩემს დასკვნებსა და მოსაზრებებს ვაფიქსირებდი.

დიპლომს სახელმწიფო კომისიის წინაშე ვიცავდით. ამ კომისიის თავმჯდომარე იყო აკადემიკოსი გური ივანეს ძე მარჩუკი - საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. მისი პირველი მოადგილე გახლდათ ქართველი კაცი, აკადემიკოსი ჯერმენ გვოშიანი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კოსიგინის სიძე.

1983 წლის მაისში სადიპლომო ნაშრომი რომ დავიცავი, მარჩუკმა განაცხადა, რომ ჩემს სადიპლომოს აძლევდა რეკომენდაციას, რათა

საკანდიდატო დისერტაციად გაფორმებულიყო. ჩემს ხელმძღვანელებს მიმართა: ნაშრომს უმნიშვნელო გადამუშავება სჭირდება. ვისარგებლოთ ჩვენი უფლებით, რომელიც მონიჭებული გვაქვს და მივაკუთვნოთ დიპლომანტს სამეცნიერო ხარისხიო.

ერთი სიტყვით, ერთხმად მო-

ხალხის დაშლის აუცილებლობაში, რადგან სამხედრო ძალა უკვე მოედანზე იყო შემოსული და ბრძანებას ელოდა დასარბევად.

სამწუხაროდ, ხელისუფლების მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. ყველას ახსოვს, რომ პატრიარქის შეგონებაც - გადასულიყვნენ ქაშვეთში და ელოცათ, მომიტინ-

დატრიალდა თბილისში...

მომხდარის გამო იმდენად შეძრწუნებული ვიყავი, რომ ემოციები ვერ მოვთოკე და საკმაოდ მკვახედ და უცერემონიოდ ვუთხარი ყველაფერი, რასაც საბჭოთა ხელისუფლებაზე და საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობაზე ვფიქრობდი, სასიკვდილოდ რომ განირა მშვი-

რატომ ვთქვი უარი სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე მოსკოვში

მანიჭეს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მაშინ მითხრა ჩემმა ხელმძღვანელმა, რომ არ უნდა გავეჩერებულყავი ამ მიჯნაზე და გამეგრძელებინა მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე. ამას თუ არ გააკეთებ, შენი თავის წინაშე დანაშაულს ჩაიდენო.

1989 წლის იანვარში სადოქტორო დისერტაცია გამზადებული მქონდა დასაცავად. ყველა ფორმალობა შესრულდა... დაცვა აპრილის შუა რიცხვებისთვის იყო დანიშნული და სწორედ ამ დროს მოხდა 9 აპრილის საშინელი ტრაგედია.

8-ში სალამოს შევიკრიბეთ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ოთარ ქვილითაიასთან. იქ იყვნენ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზურაბ მახარაძე, მშენებლობის მინისტრი დამირ მანჯგალაძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე რესან კონცელიძე და ოთარ მელქაძე - მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მთავრობის სახლის წინ მრავალათასიანი მიტინგი გუგუნებდა. რაღაც შტაბის მაგვარი შექმნილი იყო ოთართან - ვილაციბი რეკავდნენ, ისიც პასუხობდა. შტაბის წევრები მაქსიმალურად ცდილობდნენ მიტინგის ორგანიზატორები დაერწმუნებინათ,

გეებმა არაფრად ჩააგდეს... მიტინგი მალალ ემოციურ ტალღაზე გრძელდებოდა.

საკმაოდ გვიანი იყო, როცა დავტოვეთ ოთარ ქვილითაიას კაბინეტი. გამთენიისას დამირეკეს დამცნობეს, რომ იმდამესუბედურება დატრიალდა, არიან დაღუპულები, დასახირებულები, მონამლულები. დაუყოვნებლივ გავვარდით მე და ჩემი მეუღლე რუსთაველზე. მტრისას, რაც იქ ვნახეთ, ფეხსაცმლების და ტანსაცმელების გროვები, იმის აშკარა დასტური იყო, რა პანიკამ მოიცვა მომიტინგეები, როცა ჯარი მესანგრეთა ალესილი ნიჩბებით დაერია მათ და ცრემლსადენი გაზი მიუშვა. გარბოდა ხალხი, ფეხშიშველი და ტანსაცმელშემოდარცვული, მიერეკებოდა მათ გონებადაბნელებულ ჯარისკაცთა სპეციალურად განვრთნილი სამხედრო ნაწილები...

წარმოვიდგინე ეს სურათი და ისეთი სიძულვილი გამიჩნდა ამ ტრაგედიის დამკვეთებისა და შემსრულებლების მიმართ, რომ იმავე წამს გადავწყვიტე, პროტესტის ნიშნად უარი მეთქვა მოსკოვში წასვლაზე და იქ სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე. იმავე სალამოს რამდენიმე სატელეფონო ზარი იყო მოსკოვიდან. ნაცნობ-მეგობრები ინტერესდებოდნენ, რა მოხდა, რა უბედურება

დობიანი ქართველები...


მეორე დღესვე დავურეკე ჩემი სადოქტოროს ხელმძღვანელს და კატეგორიულად განვუცხადე, რომ არაფერი არა მაქვს საერთო იმ ქვეყანასთან, რომელიც ჩემს თანამემამულეებს მესანგრის ნიჩბებით სასტიკად უსწორდება, არ ინდობს არც ქალებს და არც მოხუცებს.

ერთი სიტყვით, არ წავედი მოსკოვში. მოგვიანებით ჩემს ხელმძღვანელებს ევლანოვს და პროცენკოს დავურეკე და ბოდიში მოვუხადე. ახლა რომ ვფიქრობ, შესაძლოა არ მოვიქეცი სწორად - მათ ხომ თბილისში დატრიალებული ტრაგედია მძიმედ განიცადეს.

ეს გახლავთ ამონარიდი წიგნიდან „დრო დრო აღნიშნე“... (გვერდი 345, სტამბა დამანი, 2011 წელი).

მხოლოდ ერთმა ჩემმა ბავშვობის და სიყრმის მეგობარმა, ახლა კი პრეზიდენტის სავარძელში თბილად მოკალათებულმა „მეცნიერმა“, რომელსაც ზემოხსენებული წიგნი წაკითხული აქვს, დღემდე ვერ გაიგო, რატომ ვთქვი უარი სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე მოსკოვში.

რასიზამ, არიან უგულისყურო და ელემენტარული ჭეშმარიტებისადმი გულგრილი ადამიანები, რაც მათ გონებრივ სიბეცეზე მეტყველებს.



გურამ ბათიაშვილი - 85

85 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ ბათიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გურამ! ჩვენი საყვარელი მეგობარო და კოლეგა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 85 წელს.

ნახევარი საუკუნეზე მეტი გასულა მას შემდეგ, რაც ქართულ მწერლობაში შემოაბიჯეთ. 1969 წელს გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში თქვენი პირველი პიესა „ძახილი“ დაიდგა და მას შემდეგ მართლაც რომ ნაყოფიერი, მრავალმხრივი, მრავალნაზნაგოვანი შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევი და ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას პირველხარისხოვანი ნაწარმოებებით ამდიდრებ. თქვენი რომანები, პიესები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური სტატიები სისტემატურად ქვეყნდება ლიტერატურულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგუზად, იდგება თეატრების სცენებზე... შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ დრამატურგიას თქვენი სახით ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ჰყავს, რომლის პიესებშიც მწერლური ძალმოსილებით ასახა როგორც საქართველოს წარსულის, ისე დღევანდელი არაერთი წყევლა - კრულვანი პრობლემა. ეს პიესები, ისეთები, როგორცაა „მარჯანიშვილის ოთხი დღე“, „ვალი“, „სტუმარი“, „ლალი, სიყვარული და სხვები“, „1832 წელი“, „მარად და ყველგან“, „წერილები შვილებს“, „მინა თუ სამშობლო“, „სიყვარული უსიყვარულოდ“, სრულად პასუხობს თეატრალური ხელოვნების მოთხოვნებს. დიას, ქართული თეატრი წარმოუდგენელია ამ უაღრესად საყურადღებო ნაწარმოებების გარეშე. ეს განსაკუთრებით ითქმის „ვალზე“, რომელიც ქართველი და ებრაელი ხალხების თითქმის სამიათასწლიან სამაგალითო მეგობრობას და ძმობის ჭეშმარიტ საგალობელს წარმოადგენს.

ამავე დროს ქართულ თეატრებში რეგულარულად იდგება თქვენს მიერ თარგმნილი პიესები, ისეთები, როგორცაა მიხეილ შატროვის „ექვსი ივლისი“ და „ბოლშევიკები“, აზათ აბდულის „მეცამეტე თავმჯდომარე“ და „პატრიარქი“, გიორგი გულიას „არდილები“, ალექსანდრ გელმანის „ინსტიტუტის უკანასკნელი სიყვარული“... ნოდარ დუმბაძის პროზის მიხედვით თქვენს მიერ შექმნილმა პიესამ „ცა რომ სარკე იყოს“ სიღნაღის ახალგაზრდულ თეატრში რომ დაიდგა, ტრიუმფით მოიარა კანადის, მექსიკისა და სლოვაკეთის თეატრული ფესტივალები: თქვენი პიესები ცალკე კრებულებადაც გამოიცა („სერობის შემდეგ“, „ვალი“, „წერილები შვილებს“, „შეთქმულება“). თქვენს რომანებში („თუ დაგივინყო, იერუმალაიმ“, „მეათე კაცი“, „ყამი დუმბაძისა“, „ყამი უბნობისა“, „ერთი, მხოლოდ ერთი“, „ულოგულა და ხავა“, „მზის კარავში“) კიდევ ერთხელ გაცხადდა თქვენი მწერლური ნიჭიერება და საგნებისა და მოვლენების ორიგინალური ხედვაც.

თქვენი დიდებული თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი თურქული მწერლობის კლასიკოსების საბაპათინ ალის, ნაზიმ ჰიქმეთის, აზიზ ნესინის, ფაჰრი ენდრის ნაწარმოებებს, აგრეთვე ვიქტორ როზოვის, მარ ბოიაჯივის, ლიომ მეტერლინის, მიხეილ

შატროვის, ადინ შტეინზალცის თხზულებებს. ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებას კი მნიშვნელოვანი მონოგრაფია მიუძღვნით.

თქვენი ლიტერატურულ-კრიტიკული თუ პუბლიცისტური კრებულები („ვარ დარაჯი ჩემი ძმისა“, „მზე ღრუბლებში“, „მენაკაბები“, „კვალი“, „სახეები და სიტუაციები“) ცხოველი ინტერესით სარგებლობს.

ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ხართ. სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ლიტმუშაკად, ჟურნალ „თეატრალური მოამბის“ პ/მ მდივნად, გაზეთ „საქართველოს ებრაელების“ და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მთავარ რედაქტორად. ამჟამად ხელმძღვანელობთ გაზეთ „მენორას“...

არჩეული იყავით და ხართ საქართველოს მწერალთა, თეატრის მოღვაწეთა კავშირების პრეზიდენტების წევრად, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად, საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციის გამგეობის, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრად, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანამედროვემარედ, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის სტრატეგიული საბჭოს წევრად, საქართველო-ისრაელის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად.

თქვენი ფასეული ღვაწი და რუდუნება აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს მწერალთა კავშირის (2), დავით კლდიაშვილის, კოტე მარჯანიშვილისა და პოლიკარპე კაკაბაძის სახელობის პრემიებით, დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, ისრაელის პრეზიდენტის უზერ ვაიცმანის ღირსების სიგელით, მონიჭებული გაქვთ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო ნიშანი.

ბატონო გურამ! კიდევ ერთხელ დიდი პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ღირსეულ შემოქმედსა და პიროვნებას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მოვალე და მავალე

ბატონებო, არ გეგონოთ, ორ ადამიანზე ან ორ ერზე გესაუბრებით. ამ წერილის ადრესატი გურამ ბათიაშვილია, ქართველი ებრაელი, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი უბრწყინველესი წარმომადგენელი, რომლის შემოქმედებაც ათწლეულების განმავლობაში ძალდაუტანებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ იქცა ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის ორგანულ ნაწილად...

გურამ ბათიაშვილი ხომ ელიოზ მცხეთელის შთამომავალია, იმ ელიოზისა, რომელმაც ქართველობას, ივრთა მინას, ქრისტეს - ჩვენი მაცხოვრარის კვართი ჩამოუტანა და ამით დიადი ქრისტიანული მისტიკის თანამონაწილე გახადა, გახადა ქრისტეს რჩეულ ერთგვან და, ყალბი მორცხვობის გარეშე უნდა ითქვას, რომ ქართველმა ერმა ღირსეულად შეიშინო ეს დიდი პატივი და აქამომდე ქრისტეს ჯვრის ერთგული რჩება.

თავის მხრივ, საქართველომ გულში ჩაიკრა და უპატრონა ყველასგან დამცირებულ, ოტებულ ებრაელობას და ამ ქვეყნის ნიაღში მიუჩინა სამკვიდრებელი.

აი, ამ ორი ერის შვილია გურამ ბათიაშვილი, შემოქმედი და პიროვნება, რომელიც გულისგულით დაატარებს იმ დიდ, ვეება მზეს, ერთნაირად რომ ათბობს ისრაელსაც და საქართველოსაც.

ბატონო გურამ, ჩემო კარგო ბატონო გურამ! შენი შემოქმედება, შენი ნააზრევი, დიდი ხანია ამშვენებს ჩვენს წიგნთსაცავებს, ჩვენს წიგნის თაროებს, იმიტომ, რომ შენი ლიტერატურული ტექსტები მუდამ პასუხობს თანამედროვე მწერლობის უმკაცრეს მოთხოვნებს; იმიტომ, რომ ისინი მუდამ სიმართლის, სიყვარულის, ერთგულების, მეგობრობის მცველებად გვევლინება.

ჩემო გურამ, მარადიულო მეგობარე და მოვალე!

მტკიცედ მწამს, რომ შენ კიდევ ძალიან დიდხანს იდგები ქართული მწერლობის ავანგარდში, როგორც ამ დიდი ფენომენის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

მრავალმხრივ-ლუხანი, ჩემო დიდი მეგობარო!

ზაალ ბოტკოველი



ლეილა მესხი - 85

85 წლისა შესრულდა მსცოვანი და ამადგარი ქართველი მწერალი ლეილა ლევანის ასული მესხი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენი ძვირფასო და საყვარელო ქალბატონო ლეილა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულ და საყურადღებო წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 85 წლისთავს.

ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც ერთგულებით, სიყვარულით, თავდადებათ ემსახურებით მშობლიურ მიწას, მშობლიურ მწერლობას და თქვენი წვლილიც შეგაქვთ მის წინსვლასა და განვითარებაში. 1959 წელს გადადგით პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ სარბიელზე, როდესაც დაიბეჭდა თქვენი პირველი მოთხრობები. მას შემდეგ თქვენი ლიტერატურული ტექსტები - მოთხრობები, რომანები, ნოველები, კრიტიკული წერილები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე ნიგუზად.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს თქვენს, გულმართალი მწერლის, შემოქმედებას, იმ მწერლისა, რომელსაც ზემდინვანი ზუსტად აქვს გაცნობიერებული მწერლის მოვალეობა ჩვენს ურთულეს, კატაკლიზმებით სავსე სამყაროში, როდესაც ჩვენს სამშობლოს უკვე მერამდენედ უწევს ბუნების ხილზე სიარული მისი ეროვნული თვითმყოფადობის შესარჩუნებლად. ამიტომაც სრულიად ბუნებრივად გვესახება ის, რომ თქვენი რომანები „ფაიფურის თოჯინა“, „დუმბაძის დედა“, „სიზმრის ანგელოზები“. მოთხრობებისა და ნოველების კრებულები „მზე ხელისგულზე“, „ჩემი ახლოები“, „ლანდი გაორთქლელ მინასთან“, „ბიჭის მამა ელანდებოდა“, „თავდავინებება“, „ლტოლვა“, „ამერიკელი სიძე“, „რჩეული მოთხრობები“ სწორედ სამშობლო ქვეყნის მადლით და მირონითაა ნასაზრდოები. მათში ერთმანეთს ორგანულად ერწყმის თემის აქტუალობა და სიმძაფრე, ცხოვრებისეული სიბრძნე და მხატვრული აზროვნების გამჭვირვალობა, მიმზიდველი ფაბულა და პრობლემის არსში წვდომის უნარი. მშობლიური მიწის მადლი და სითბო კვებავს თქვენი ქმნილებების განწყობილებას, მათ ტკივილსა და სიხარულს. დამაჯერებლად ძერწავთ გმირთა სახეებს, ახერხებთ მათ სულში წვდომას ისე, რომ მკითხველს უხერხულუბისა და სიყალბის განცდის ნაცდამალიც არ რჩება...

საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი მიუძღვნით ქართული მწერლობის არაერთ გამოჩენილ წარმომადგენელს.

ყურადღება მიიქცია ბოლო წლებში გამოქვეყნებულმა თქვენმა ბიოგრაფიული ნოველების კრებულმა „ფიქრის კრიალოსანი“, რომელიც ორ ნიგნად უკვე გამოიცა. მალე დღის სინათლეს მესალმებ ნიგნიც იხილავს.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა გერმანულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე.

ათწლეულების განმავლობაში ეწეოდით ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, სხვადასხვა დროს არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრად. პროზის სექციის პასუხისმგებელ მდივნად, მუშაობდით ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის უფროს-მეცნიერ მუშაკად, განყოფილების გამგედ და დირექტორის მოადგილედ, ქუთაისის ისტორიული არქივის დირექტორად, ჟურნალ „თეატრალური მოამბის“ მხატვრულ რედაქტორად, გამომცემლობა „მერის“ რედაქტორად...

თქვენი ნაყოფიერი მრავალწლიანი საქმიანობა ნიკო ლორთქიფანიძისა და მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ქალბატონო ლეილა! კიდევ ერთხელ პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს სათნოებითა და სისპეტაკით გამოჩენილ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საესავი სამშობლოს გაბრწყინებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საიუბილეო მილოცვა

აღიარებული ჭეშმარიტებაა-ქალები ასაკს არ ამხელენ. ამ უხერხულობას ისე ფაქიზად შემოვუვლი, წყლიდან ფეხდაუსველებელი გამოვალ. წლით თუ არა წლინახევრით „მისწრებ“, მთელი ცხოვრება მოგდევ და ვერ გენევი. ჰოდა სამზოვზე არაერთხელ გამოტანილ ჩემს ასაკს, ზემოთ ნახსენები წელიწად ნახევარი „ზედნადები ხარჯივით“ მიუმატონ და ...სვენებ-სვენებით. დაყოვნებით ნავეითხე შენი დიდი წიგნი, ლეილა. გულდასმით გავეცანი ქალბატონ მანანა ჩიტიშვილის წინასიტყვაობას და ჩვენი შთამბეჭდილებების მსგავსებამ თვითკმაყოფილება შემძინა... ახალი წიგნის გაცნობას გარეკანის თვალთვლით ვინცე ყოველთვის. ჰოდა წიგნის მინდა მივულოცო, ნინო ლენინიას, შენს ძვირფას ქალიშვილს, ამ წიგნის დიზაინერს: გამლამაზებულს - ყდაზე რო სათაურები ისე მიუფანტ-მოუფანტავს, გეგონება, გამლლიო პეშვიდან ეს-ესაა სიმინდის მარცვლები გადმოყარესო. მე ამ დროს „მეყანე-მკითხველი“ ვარ - თოხი მიჭირავს და ვშრომობ. სარჩევის თანმიმდევრობას არც მე ვემორჩილები, დიზაინერს ვბაძავ. როგორ კარგად იცი რაზეც წერ, რაზეც ლაპარაკობ, ამ ცოდნას გარჯა სჭირდება, ლამების თენება, არქივებში ჩაძირვა, სიგელ-გუჯარებიდან ამოხედვა, მკითხველის გადაბირება, დარწმუნება, მთელს წიგნს წინადა პროფესიონალიზმის ხელი მიაცილებს. მე რომ ოქრომჭედელთან მისვლა დამჭირდეს, საქმეს არ გავირთულებ, შენ მოგაკითხავ, ისე კარგად ფლობ „კვეთის ხუროს“ საიდუმლოს... როცა ქედანი თურმანაულის, ამ უიღბლო, მაგრამ პოეტური ნიჭით გაჯერებული, ლანდივით მოსიარულე ქალის სახეს ხატავ, სახელის ფრინველური წარმომავლობის საიდუმლოზე მიგვანიშნებ — ქედანი შემთხვევით, არ ეჩქავო, წერ, თავადაც ქედანს ჰგავდაო, ხეზე მჯდომ ფრინველს-მტრედოსნაირი ჯიშისას, ვეყანი თავით „ქურა ზურავით, ვარდისფერი ჩიჩახვით...“ ცოდევა გამხელილი სოჯობი, ჭკობაში მეც მინადირია ქედანზე, მომიკლავს. საოცარი დამაჯერებლობა ახლავს შენს შენს ამ ნაკალმევს... უცრემლოდ ვერ ნავეითხე შენი „ტყევი“- ომგამოვლილმა საზიარო ბავშვებმა, საზიარო ტკივილებიც ავერ აქამდე შემოვივინახა. ჭეშმარიტად დამწვევია გული და თანაგრძნობით განმანყო მუსიკოსი ქალის ტრაგიკულმა სახემ მოთხრობაში „hotel karaiian“. ხელგაშლილი, ლალი წერა გრევივა, ხანდახან სიუჟეტი ისე „ნაგართმევს“ თავს, შენს მაგიერ მე შემეშინებდა-ფინალს, ფინალს რა ეშველებო, გავიფიქრებ- გაიმარჯვებ და სიხარულს ვინანილებო... ორი ისტორიული მოთხრობა, რომლითაც წიგნი მთავრდება, კიდევ ერთხელ მიგვარბუნებს საკუთარი ქვეყნის წარსულისკენ. როგორი უბედური უნდა იყოს იმ ხალხის ბედი, მამის მიერ გაყიდული შვილი მშობლის საქციელს რი გამოამრთებს. „კოლხური თილისმიდანა“ ამითარგმნილია ეს ტკივილი. ხოლო „ჯიში საკალმახე“ უცხო გზებზე აღმა-დაღმა მოხეტიალე ერეკლე მეორის ეპოქის შემოარბე გვიყვება, მამულზე უზადოდ შეყვარებულზე, ალა მამადანის თავის მოკვებას რომ უნებლიედ შეასწრო განება, აღმა-დაღმა რო ბევრი ახეტიალა ბედმა. წევს ახლა, სამშობლოში რის ვაივაგალახად დაბრუნებული ნახევრად შიშველი, დაჭაობებულ მტკვრის ჭალაში და მორევში შეგროვილ თევზებს აყურადებს. ერთერთი იმათგანი მარაქას გამოყოფია და გატრუნულა. მორევ-იდან შეღმა ჩქერდაჩქერ აპირებს აყლას. ეს კალმახია „კაცი-კალმახი“ ტანი რო კრწანისის ველივით ნითლად აფორაჯვებია... მოთხრობის ფინალში ერეკლე მეორეს მიახვეწებენ. სამ-გლოვიარო პროცესიას თვალცრემლიანი ეს „კაცი კალმახიც“ მიაცილებს ეტირება და ტირის... ვამთავრებ საიუბილეო სახელდახელო მოლოცვას-არ მინდა გადავადლო მკითხველი. მე მჯერა შენი ხვალისდელი ახალ-ახალი შემოქმედებითი წარმატებების ლეილა, მჯერა და წინდანი საქვეყნოდ გილოცავ!

ზაალ ეპნოიძე



მურად ზარნაძე

გადავალული იმედი

დღეს აქაურობა გაცილებით მიმზიდველად და მომხიბლავად გამოიყურება, ვიდრე იმჟამად: ძველი, ალაგ-ალაგ გარღვეული ტყეშული ღობე მალალი თუხუქის ღობით შეუცვლიათ. ხოლო ეზოში შესასვლელი მოშლილი ხის კარები, რომელიც თავისი ღირსებებით ვერაფრით აღემატებოდა გვერდითა მოძმეს, დროის საკადროსი განიერი რკინის ჭიშკრით ჩაუნაცვლებოდა, - პატარა ალაყაფის სიდიადით, ქედმაღლურად რომ გადასცქერის არემარეს. ღობეც და ჭიშკარიც ჯერ ცქრიალა ფერებით ძეულდება, მერე კი მშვენიერი მომცრო, შესაძური ორნამენტებით დაუმშვენებიათ. გამჭრიახის ხელს არც ფერდაკარგული, გრძელი ხის სკამის შეცვლა დაზარებია. აბა, ოკრობოკრო, ნაჩქარევად და სახელდახელოდ შეჭედული ჩამოსაჯდომისათვის აქ ადგილს ვინაა გაიმეტებდა. ჰოდა, მეზობელთა ბედი მასაც გაუზიარებია - უკეთესი შეუცვლიათ, ყოველგვარი შეკეთებისა და განახლების გარეშე. პირდაპირ გათხოვნიდან ჩამოტანილი გეგონებათ. თანაც ორ ფერში შეუღლებათ და კაჟივით შეუკრავთ. ისე ყოჩაღად და გამომწვევად გამოიყურება, გვერდის აქცევა არც მოგინდებათ, უხმოდ გეპატიჟებათ: მოდით, ჩამოჯექით, მუხლი დაასვენეთო.

სიახლეების ჩამოთვლისას თუკი ჩემი თხრობის კილო ან არასათანადო განწყობა შეუფერებლად მოგეჩვენათ, ძვირფასო მკითხველო, მერნაშენეთ, ამის შესახებ დასაწყისში არც მიფიქრია. გეთანხმებით, რაც დროის ქარს მოუტანია და თანამედროვეობის დალი აზის, მეტი პატივისცემითა და კრძალვით მოხსენიებას იმსახურებს. და თუ მინც გული დაგწყვიტეთ და უნებლიეთ გადავამალა, არა იმიტომ, თითქოს განზრახ ვჭირვეულობ, ან რაიმე წინასწარ ავიკვირებ, ღმერთმა დამიფაროს, ასეთი რამ მიუტყვევებელიცაა. ვინძლო ჩემს სულში ჩასახლებული წყნა უფრო ამოდულდა და ნაპირზე გადმოიღვარა აზვირთებული მორევით. შესაძლოა, დროულად ვერ შევძელი გულსტკივილის მოთოკვა და ლაგამის ამოღება.

ადრეული ხლებიდან მოყოლებული, ქალაქიდან ჩამოსული, როცა შინისაკენ გზას დავადგებ, ყოველთვის უნებურად მზერა ამ სახლისაკენ გამიბრბის, როგორც მაშინ - ბავშვობისას. თუმცა მისთვის დიდხანს ცქერა როდი შემიძლია. გულიც აღარ იწყებს ძველებურად ლალობასა და საამოდ ძეგრას. განა ჩემი ბრალია თვალი აქაურობის ფერისცვალებას დღემდე რომ ვერ შეეჩვია? არადა, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ვერ იმარჯვა დროებამ და ვერასვნით გადამისხვაფერა უზინდელი, სიყრმისეული შთაბეჭდილებანი; ვერ შეძლო იმ ხანის ალტკინებთან და მოგონებთან ნარხოცვა, ასე სისხლხორცეულად რომა დაკავშირებული ამ სახლთან.

რამდენიმე ათეული წელი - ჰო, თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი, რაც ერთი ამაფორიაქებული და მეტისმეტად სევდიანი ისტორია ჩემს გულში

დაიმარხა. თუმცა, როგორც გვიან შევნიშნე, ნაცარში გახვეული ნალვერდელივით თავი შეუწახავს და დროის მტვერი სულაც არ მიჰკარებია,

სრულებითაც არ დახვავებულა. პირიქით, ჩემში გაბატონებულა და ნარსულის უხილავი აჩრდილივით თურმე თან დამდეგდა.

ცხოვრების მიწურულს, როგორც ყველას, დროის ფიცხი და მსუსხავი ხელი მეც შემეხო. ფაფუკმა ჭალარამ და დაუხდობელმა, მოძალადე სიბერემ ბერიკაცად მაქცია და შვილივით ჩამიხუტა. დარჩენილი წუთისოფელი და არსებობა მოგონებათა ტყვეო-

ბაში ყოფნად გადამექცა. დროყამმა თავისი გაიტანა და ჩემი დაბუდებული, ძვალ-რბილი გამჯდარი სიკერა შეარყია, შეაზანზარა და თანდათანობით ხსოვნის დიდმა ლაშქარმაც იარაღი დამაყრევინა. ეტყობა, წელმარავალი ურჩობა და ჭირვეულობა შინაარსისაგან დაინრიტა, დაცალა და ჩამოღდა.

იქნებდა ამის გამო, მაისის ერთ მშვენიერ დღეს, როცა ადგილის დედას ძველებურად ვესტუმრე, ათასფერად ყვავილების სურნელითა და გაზაფხულის მწველი მზით გაბრუებული იმ შეღამაზე-ბულ სკამზე ჩამოვჯექი, რომლისკენაც გახედვა აქამდე ასე მიჭირდა. ბავშვობის ასაკში კი როგორც სალოცავისაკენ, ისე მივიჩქაროდი მისკენ - აქ ნამოსკუშებას არაფერი მერჩინა.

მოგონებათა ქარიშხალიც უმალ წამოიშალა. თითქოს საგულდაგულოდ დაგმანული ციხიდან პატიმრებმა იშვეს თავიო. რკინის ხელით დამიმორჩილა და დიდი ხნის წინათ ჩავლილმა ისტორიებმა დაზავება შემომთავაზა, - სხვა რა გზა დამრჩენოდა! სასიამოვნო, გამომაცოცხლებელმა განცდებმაც ერთ წამში დამიარა ტანში. ნათლად ვიგრძენი, წუთისოფელს მონყვეტილი, ჩემი მესხიერების შორეული მკვრივი ფენა როგორ დაიბზარა. მოგვიანებით კი მას სხვანაირად მოეღვარე, სიფრიფანა, ნაზი შრე რონინით გამოეყო. უცხაურად აციაგდა ეს შრე. მაშინვე ადამიანის აჩრდილს დაემთავაზა და გასაოცარი რწმენით ჩემსკენ წამოვიდა. წამიდან წამამდე მკაფიოდ იგრძნობოდა მისი ნაბიჯები.

ვიცანი, ვარლამ ბაბუ!... სათუო და დასაქვებელი აქ აღარაფერი იყო! ჯოხით ხელში, თავანეული, ენერგიულად მოაბიჯებდა, ვარლამ ბაბუ! ვითომც ამ შეხვედრას დიდი ხანია ელოდა. ჩემი დახაზვა გაუხარდა და შორიდან გამიღიმა მონატრებულებით.

ხელი ყოჩაღად ჩამომართვა და წამით შეჩერდა, დამაკვირდა, თვალი თვალში გამიყარა. უხერხულობისაგან არ ვიცოდი რა მეთქვა, ძალიან დავიბნე. მერე უცებ მარცხენა ხელში სიმძიმე ვიგრძენი. და-ვიხედე და თავლებს არ დავუჯერე - ხელში სკოლის ჩანთა მეჭირა. მკერდზე კი, როგორც მაშინ იყო მიღებული, კომკავშირის სამკერდე ნიშანი მიბრწყინებდა. ოი, ეს როგორ, ისევ მოსწავლე ვარ?! თუ... არა, არ მჯერა! ტანში გაბაჟრიალა, ნაბიჯიც რომ მოკლე გადავდგი, თანაც ვარლამ ბაბუს ქვემოდას შევყურებ:

- მოდი, ჩამოვდგეთ, - თავისკენ, გრძელ სკამზე მიმიპატიჟა, - სკოლიდან კი მოდიხარ, მარა ძალიან დალოილსაც არ ჰგავხარ. ერთი ეს მითხარო, რო დაყავსტალობ ამ სკოლაში, სწავლობ რამეს თუ ტყუილად ცვითავ ფეხსაცმელსაც და მერსაც?

- აბა, რა გითხრა, ბაბუ! გვასწავლიან, ტყუილად რატომ...

- ა, კიდო! რო გასწავლიან და თავში ჩაგჩიჩინებენ, ეჭვი არ მეპარება, მარა... მერე რა? შენ ჭკუასა და გონებას თუ ემჩნევა რამე? თუმცა აგერ, ახლა პასუხზე შეგეტყუა...

თხელი, ფერდაკარგული ქუდი მოიხადა და ხელი რამდენჯერმე გადაუსვა. მერე ფრთხილად და გულმოდგინედ კვლავ დაიხურა, თითქოს ემინოდა, თავიდან რაიმე აზრი ან საყვადური არ დაფანტვოდა, აგერ - აგერ თქმას რომ მიპირებდა.

- კი მარა მაშაშენმა ან დედაშენმა თუ იციან, სკოლაში რო ვერაფერი შევილი ხარ, ან ბაბუაშენმა ზოსიმე?! - ყველაფერი იციან, ყველა საგანს კარგად რომ ვერ ვსწავლობ, ესეც იციან! - რატომღაც ვლად ნარმოვთქვი და ხელის უმინზო მოძრაობით მუხლებზე დადებული ჩანთა ვითომ შევასწორე.

- ჰო, კარგია, ასე უკეთესია! მერე, სულ ბოლოს, ატესტატს რო ჩახედავენ, აღარ აცრემლდებიან დალუპულ გენიოსზე, სალაპარაკო რაღა ექნებათ! თვალდათვალ შეაჩვიე, ასე სჯობია!

- გენიოსთან რომ არ აქვთ საქმე, დიდი ხანია მატყობენ. გუშინ გამომიცხადეს: დაბადების დღეზე საუცხოო და ლამაზ თოხს გაჩუქებთო; კალმით ნახატს ემსგავსებოდა და თვალის ყველას მასზე დარჩებო; არაუშავს, იცინონ, იცინონ, მაგრამ მე ისტორიულზე მაინც ჩავაბარებ!

- ოუფ, ისტორიას სწავლა არ სჭირდება თუ რა? საიდან მოიტანე ახლა ეგ? - აბა, რა! რაც გავიარეთ, ჯერ არც ერთი თარიღი არ დამეჩვენია, ომებიც ზეპირად მახსოვს!

- ჰოდა, მიდი მიანეკი... ანაზღად ჭიშკრის ხმა გაისმა. ეზოდან ვერიკო ბებო გამოვიდა, შუბლზე მუქი თავსაფარი ნაეკრა და სახე ერთიანად დახაღვლიანებოდა. ჩემს დახაზვაზე მხრები აიჩეჩა და ქმარს სულმოუთქმელად მიაძახა:

- ისევ არ იშლი ხომ შენსას? დოსტებსა და ამხანაგებს იმრავლებ მოთქმა-ჩივილების მოსაძმენად? ხო დაამგავსა ამ კაცმა აქაურობა თავის ჯვარცმის ადგილს! მსხვერპლია, ჩქარა უშველეთ! აღარც ვე-

ნახი ახსოვს, აღარც ყანისკენ იყურება! დადნა იმ წყეული დეპეშის მოლოდინში, აღარ ვიცი რა უმეველო!

მერე წუთიც არ გასულა, მომიახლოვდა, ნაზად შუბლზე მაკოცა და მოფერებით მიხზა:

- გივიკო, შენ ამას ყური არ დაუგდო. ერთხელ რალაცას დაჰპირდნენ ამ სუნს ვარლამ ბაბუს და მის შემდეგ გულმტყულოდ, მიაძიტი ბავშვივით უცდის თბილისიდან ხელის დაქნევას.

მოვიბოდიშე და იქაურობას განვერიდე, რაკილა თავი მეტად უხერხულად ვიგრძენი. სახლში მისულს სიტყვა არ დამიძრავს და, ჩემდა ბედად, აღელვებაც ვერ შემატყვევს. მხოლოდ ეს იყო, გაკვეთილების მომზადებისას ყურში შეუხვევტილად, გამუდმებით ჩამესმოდა სიტყვები: „წყეული დეპეშა“, „აღარც ვენახი ახსოვს, აღარც ყანისაკენ იყურება“ და „თბილისიდან ხელის დაქნევას ელოდება“. მცდელობების მიუხედავად, ამ ფრაზებს შორის რაიმე გონივრული კავშირის დადგენა ვერ შევძელი, სავალალოდ თუ სასიხარულოდ. ამიტომ, ცოტა ხანში გულიც დაწყნარდა და აბეზარი ფიქრებიც თავიდან გამეფანტა.

მეორე დღეს, წინა დღით განცდილი და გადატანილი ხელახლა გაცოცხლდა. ადრინდელივით გავხალისდი სკოლიდან მომავალმა, ვარლამი ბაბუს რომ მოვკარი თვალი. ჩვეულ ადგილას იჯდა და თავზე ქუდი ჩამოეხატა. ოდნავ ყრულ და მიძიდე ახველებდა, თითქოს ქოშინებდა კიდევ.

- მოდი, მოდი, გივია, დაჯექი, - რალაცნაირი მხიარული ხმით მომამახა, აქაოდა, ჩემმა დახაზვამ შევბა მოჰგვარაო, - რა ხდება შენკენ?

- რა უნდა ხდებოდეს, ყველაფერი ისევე ისეა, ძველებურად!

- მომიხიბო აქეთ, - მომიგო ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, - გუშინ იმ ჩემმა კაპასმა ცოლმა საყვედურები ალესილი ხანჯალივით რომ დაატრიალა, მერე კი რისი დროშავაც შეეძლო, სულ ერთიანად მოგვყარა, მთლად ეგრე არ გეგონოს, გივიკო! დამიახსოვს, - ნალვლიანად გააგრძელა ცოტა ხნის შემდეგ, - ზოგიერთი ცოლი ქმარზე ძვირების ლაპარაკით გულს იფხანს.

უცრად ალლო ვერ ავუღე, ვერ ჩავენვდი თუ რის გამო გახდა აუცილებელი ოჯახური საქმეების მზის სინათლეზე გამომხეურება, უხერხულობისაგან თავგზა ამებნა და ერთიანად გავშრი.

გულისხმობს მიხვდა, ჩემი გაყურება განსაკუთრებული სიბრძნით რომ არ იყო ნასაზრდოები და ლაპარაკი ისევ თვითონ წამოიწყა:

- ასე, დაახლოებით ხუთი წლის წინ, თბილისიდან შეიკრ დასი იყო ჩვენს სოფელში გასტროლებზე. სპექტაკლი გვიჩვენეს კლუბში. მართლა არაჩვეულებრივი სანახაობა გამოდგა. უჰ, რამდენი ვინახისეთ! მერე უცებ დასის ხელმძღვანელი გვიცხადებს: აბა, ახლა თქვენი ნარმოდგენაც გვანახეთ, თქვენც გავაკეთეთო. ამას რაღა ვიფიქრებდით, ასეთი გამონევეისათვის მართლა არ ვიყავით მზად. სახელდახელოდ, დიდი ფაცოფურით აღვადგინეთ სპექტაკლი „კოლმეურნის ქორწინება“, - იდგებოდა ხოლმე მაშინ ასეთი სპექტაკლი. დიდი შრომა და ჯაფა გავანიეთ და მთელი საღამოსათვის ნარმოდგენა შედგა. ამ სპექტაკლით მთავარი როლს მე ვთამაშობდი.

მოეწონათ, თან რაფერ მოეწონათ! დასის ხელმძღვანელმა თავი ვეღარ შეიკავა და სცენაზე ამოვარდა, ყველა გადაგვკოცნა, სათითაოდ მოგვეფერა. ბოლოსთვის მე შემომინახა, გულში გახსაკურებებით სათუთად ჩამიკრა და აღფრთოვანებულმა მითხრა: შენ დიდი ენაკვიმატი ვინმე ყოფილხარ! აუცილებლად მოველაპარაკები თეატრის ხელმძღვანელობას და ჩვენთან, თბილისში გადაგიყვანთ. ამას რომ მეუბნებოდა, სახე ერთიანად უღიმოდა და თვალმიდან უცხაური სითბო ეღვრებოდა. ძალიან კი გამიხარდა, მაგრამ უშანგის, ჩვენი კლუბის გამგეს, ამ სიტყვების გაგონებისას, რატომ გადჭკრა სახეზე შავმა ფერისა, დღემდე ვერ მიმხვდარვარ, - კლუბს აღარ მაკარებს, ათასში ერთხელ თუ გამიხსენებს. ვზივარ აგერ, ჩემი სახლის წინ უკვე მერამდენე წელია და სიგარეტის კვამლი ვიხრჩობი. ცოლს კი ესამოვხა თავიდან, ეს ყველაფერი რომ მოვუყვევი, მაგრამ რა გინდა! - „ამდენი წელია გასული და ნეტა ვიღაც ახსოვხარ, შე უბედუროო, ეტყობა, უმზოდ გაგემასხრენ და ვერ მიხვდი, შე საწყალოო!“, - ასე წამომამახებეს ხოლმე და წამდაუნუნე მეჯვარეობა.

- ნუ გემიხია, ბაბუ, ყველაფერი კარგად დამთავრდება, - მივუღმე მოსმენილით გაოგნებულმა და დაბნეულმა.

- რას ჰქვია მემინია!... საიდან მოიტანე რომ მემინია?! ის ტივტივებული უშანგა მაილიარებს და თავისი ხელით მოიტანს თბილისიდან გამოგზავნილ მეტყობინებას, მაგას სხვა გზა არც დარჩება.

ხელებისაგან ლაპარაკი უცებ გაუნყადა. მოგვიანებით, სული რომ მოითქვა, თავის ლურჯ ქურთუკში უფრო ღრ-

მად გაეხვია და ოდნავ რომ დაწყნარდა, გაგულისებულმა სიგარეტის ნამწვი შორს მოისროლა:

- მკლავს ეს ოხერტიალი და თავს მაინც ვერ ვანებებ.

სახეზე ცუდი ფერი დაედო, დავემშვიდობე და წასვლა დავაპირე:

- მოიცა, რომ მიდიხარ, საით გაგინევია, ხვალ ხომ კვირია!..

- კი კვირა, გაკვეთილებიც არა გვაქვს.

- ჰოდა, იჯექი, საით მიგეჭქარება. დილიდან, რაც აქ ვზივარ, იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩვენ დავთარში თბილისში ერთად ცხოვრება გვინერია! - ბოხი და გამარჯვებული ხმით ნარმოთქვა, - იქნება ვერ მიხვდე ახლა, თბილისში ხომ აპირებ ისტორიულზე ჩაბარებას?!

- ჰო, აბა რას ვიზამ, უნდა ჩავაბარო!..

- მეც კიდევ თეატრში ვიმუშავე და ასე!.. ვიცივრებთ ერთად, დღით შენ ისტიტუტში მოუსვამ ლექციებზე, მე თეატრისაკენ გავშურებო! ხომ კარგად მაქვს გათვლილი?! აბა, შენც დაფიქრდი!

ალტაცებისაგან უეცრად რეტი დამესხა. მახსოვს უზომოდ ალტკინებულმა ვარლამ ბაბუს შუბლზე ვაკოცე და სახლისაკენ გავფერინდი. მისმა სიტყვებმა ჯადოსავით იმოქმედა; ოთახში ერთ ადგილს ვეღარ ვპოულობდი; დაწყნარება და დადინჯება ძალიან გამიჭირდა; მეორე დღესაც, გაკვეთილების მომზადებისას, ფიქრების სადავე რამდენჯერაც კი გამიხსლტა ხელიდან, ოცნებათა აზვირთებულმა ტალღებმა იმდენჯერმე შორს გამიტაცა.

ორშაბათს ჯერ კიდევ შორიდან მომავალი შემამჩნია და ჩვეულ სიხარულსაგან ხელი დამიქინა. თუმცა რომ ჩამოვჯექი, კარგა ხანს ხმა არ ამოუღია, ვითომც ვერ ამჩნევდა ჩემს იქ ყოფნას. მერე გამომცდელი მზერით გადმოშვდა და ოდნავ მუქარანარევი ხმით დაიწყო:

- კარგად მომიხიბო! თავიდან თბილისში რომ დავიწყებთ ცხოვრებას, ძალიან დიდი სიფრთხილად და ნინდახეულვება გმართებს. ასი თვალი და ასი ყური გამოიბი. ამას იმიტომ გეუბნები, რომ იქ ორი წელი ვცხოვრობდი, თავის დროზე სამსახიობო ხელოვნებას როცა გავდოდი. ხომ ხვდები: ძალაუბნებურად რამეში არ ჩაგითროს იქაურმა მატრაკვეცა და მეტყინარა ბიჭებმა. რამეს თუ ვერ გაიგებ ან გაგიჭირდება, ჩემი იმედი იქონიე. თავისუფალ დროს კი თეატრში რეჟისრებივს დაეხმარები!..

მომესალმებოდა მისი სიტყვები, - მზრუნველობით, სიბრალულობითა და გულმტყულებლობით გამსჭვავებული. სულში მაქრად ჩამეფარა მისი ღიმილი. შემდგომ დღეებში კი ჩვენ შორის ისეთ გულწრფელ მეგობრობას ჩავეყარა საფუძველი, რომლის მსგავსი ნივანებში თუ წამიკითხავს. მიყოლებით რამდენიმე ხანი ისეთი გალაღებული და ნეტარებით აღვსილი დავხარდობდი, ვითომც სამოთხის კარი გაეხსნათ. არანაყოლი ალტაცება და ღრუბლებთან სიხლოვე დაეტყო ვარლამ ბაბუსაც: ყოველდღე რჩევა - დარიგებებსაც კი ჯერაც უცნობ ხმამაზე ნარმოთქვამდა, თითქოს სცენაზე იდგა და მაყურებელს გულდასმით ესაუბრებოდა. ხშირად სიტყვებს მარცვლავად და მეტი დამაჯერებლობისათვის რიხიანად ნარმოთქვამდა. ამის შემდეგ ჩვენი ერთად გატარებული ყოველი წუთი მერმისში მოგზაურობის დადოსნურ წუთებად მესახებოდა, ერთად ყოფნის საათებიც კი გვეცოტავებოდა.

მოჭარბებულ გრძობათაგან გაბრუნებულსა და დაბანჯულს ყურადღებიდან სრულიად გამორჩა, ბოლო რამდენიმე დღე ძველებურად თავის ადგილას რომ ვეღარ ვამჩნევდი. არა, შეუძინეველი სრულებითაც არ დამრჩენია, უბრალოდ, ვიფიქრე, ალბათ სახლში მკურნალობს - მეთქი. რაკილა ბოლო ხანს ხანგრძლივად ახველებდა.

ერთხელაც სკოლიდან დაბრუნებულს დედამამამ გამომიცხადა, საავადმყოფოში ვარლამი ბაბუს სანახავად მივდივართო. დედამ დაამატა: ხომ არაფერს დავგაბარებ შენს ძმაკაცთანო. დავიბნე, ენა დამება და გული ყელში მომეჭვინა. რატომღაც გულმოსულმა ძლივლა ამოვიღულულე: „რა დროს საავადმყოფოში წოლაა, დროზე გამოდი, საქმეები გველოდება!“

(ცოტა არაბუნებრივად და დამაბნეულად კი მენიშნა მათი სიტყვაძქენი, შეფარული და ხმადაბალი საუბარი, თუმცა დიდად ყური არ მითხოვებია.

სალამოს გვიან დაბრუნდნენ. გარინდებულ, დამძარბულ სახეზე დარდი და კაემანი ეხატათ. სათვალავშიც არ ჩამიგდია მათი განწყობა, ვინაიდან მჯეროდა, საავადმყოფოდან ადამიანები გამოჯანმრთლებულნი ბრუნდებოდნენ.

ორი - სამი დღე თუ იქნებოდა გასული საავადმყოფოს ამბიდან. სკოლიდან ვბრუნდებოდი, როგორც ყოველთვის, სულიერად ანთებული და გაძლიერებული. მიუხედავად აპრილის თვისა, ირგვლივ ცივი და მსუსხავი ქარი დაბორიალობდა. მოულოდნელად ვხედავ, ვარლამი ბაბუს ეზოს ჭიშკრის ორივე კარი ბოლომდე ღიაა. ელდა მეცა, ვინაიდან ეზოში უამრავ მეზობელსაც შევავლე თვალი. თანაც უხმოდ, მხ-

პირობა

რეზანურულნი, სახემდღერულნი იდგენენ და თითო სიტყვას ცივად, უხალისოდ თუ...

-გარდაიცვალა, ასე მოულოდნელად... დაიღუპა შენი ვარლამი ბაბუ! - გულამოსკვნითა და სლუკუნუნით ამოიკვნიესა ბოლოს...

-კი მაგრამ... ასე როგორ?! - კი, შვილო, ასეც ხდება! თურმე მაგ საწყალს უიციო ფილტვების ანთება ჰქონია!

გაგზავნი. თითქოს ცივი წყალი გადამახსნესო, სული შემოგზავნა და ველარაფერს ვგრძობდი. ადგილიდან ველარ ვიძვროდი...

ბედისწერის ამ დამცინავ, შეუბრალებელ გამოწვევას ჯეროვნად ვუპასუხებ და იმ ნელს სტუდენტის მინიცი გაგზავნი. თუმცა გულისწინადილის ასასრულელებად თავდაუზოგავი შრომის გადატანა მომიხდა...

ამგვარი ტვივლიანი და ეკლიანი გაკვეთილით შემომაძვროს ყრმობის წლებმა ცხოვრების მთავარ გზაზე.

სტუდენტობის პირველი დღეები ჯადოსნურ სამყაროში შებრალების შესადარი აღმოჩნდა: პროფესორ - მასწავლებლებთან და ჯგუფელებთან ურთიერთობის გაბმა განუმეორებელი, ენით აღუწერელი ხელოვნებაა, - უაღრესად ფაქიზი, თეთრი და ნატიფი ძაფებით ნაქსოვი. ხანგამოშვებით, როცა გონების თვალს შევავლებდი ამ თვალწარმტაც ქსოვილს, მხიბლავდა და მაცხვევებდა მისი სპეტაკი, ელვარე და კრიალა ფერები...

სამიოდე თვის შემდეგ მონატრების უღმომბოლო სენი შემეყარა. თვალდათვალ, ნაბიჯ-ნაბიჯ დამიმორჩილა და აფთარივით ისე სასტიკად მომიხელთა, უკვე ერთ ადგილზე ყოფნა მიძინელებოდა. რალაც უხილავი ძალა უნებლით, დაუკითხავად გარეთ გამომიტყუებდა და განბილბებულვით, წვიმასა თუ ქარში აღმა-დაღმა ნამლეკავდა. მენატრებოდა უკლებლივ ყველა და ყველაფერი, რაც კი ბავშვობისა და სიყმაწვილის ხანასთან იყო დაკავშირებული...

კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე ამგვარ ტკბილ-მწარე მოგონებებში გარბოდა დრო. გვერდით სულმოდებო უხილავად ვგრძობოდი ვარლამი ბაბუს არსებობას. განუმორიდებლად ერთად დავბორობებოდა და ჩვეულებრივ, დაუფინყარ ლაპარაკსა და ბაასს ვმართავდით. ძველებურად მაჯას უსინჯავდა ჩემს აზრებს. იგი ხომ რალაცნარი მინაგან, იდუმალი ბარომეტრის ფლობდა, რომელიც ადამიანის მღელვარებას, აღტაცებასა და გაბრაზებას მყისიერად აღიქვამდა. ძალიან მცხანებოდა და მებრალებოდა, ვინაიდან სიცოცხლის შუაგულში, როცა გადაწყვეტი ნახტომისათვის საგულდაგულოდ მოემზადა, უცებ ბედისწერამ უმტყუნა. იმგვარი გამეტებით ნაიქცა, რომ ფეხზე ნამოდგომა ვეღარ შეძლო. როგორ ვიფიქრებდი თუ ჩვენს ოცნებებს ასრულებდა არ ენარა.

ივნისის მიზურულს დეკანატიში საზეიმოდ მოგვილოცეს კურსის წარმატებით დახურვა და არდადეგების მხიარულად გატარება გვისურვეს. უკეთესს რას ვინატრებდი, იმავე საღამოს ბარგი საგულდაგულად ჩავალაგე და ადრე დილით სოფლისაკენ გავექროდი.

ავტობუსიდან ფეხი როგორც კი ჩამოვდივარ ისეთი შერბნება დამეუფლა, ვითომც ოქროს საბაროს შუაგულში აღმოჩენილიყავ, - სიხარულისაგან ბარბაცი დავიწყე. ჩავლილმა წლებმა ვულკანიდან ამოფრქვეულ მოუთვინიერებელ ლაგასავით იხყეს შესხენება. ძალიან გამიჭირდა მათთან გამკლავება, - ასე უეცრად და ასე მყისიერად. თანაც იქაურობა ფანდანაზად ისე გაიმალა ჩემს ფერხით, თითქოს მოლოდინში მთელი დამე გაეთიოს.

გულმა ძველს უმატა, ვარლამ ბაბუს სახლს მორიდან რომ შევავლე თვალს. მაგრამ ერთი ნუთით!.. სულ ერთი ნუთით! ეს რა ხდება?!

-ოო, გივიკოს გაუმარჯოს!.. ჩვენს გივიკოს! მოდი, მოდი შემოგვიერთდი! - ეზოს სიღრმიდან ვარლამი ბაბუს ძმა, ზალიკო აღერსიანი და გულიდან ნამოსული ხმით მეპატიებოდა.

ეზოში შებიჯებისთანავე ლეღვის ძირში გაშლილი სუფრა დავინახე. მაგიდის შუაში კი კერასი პარპარებდა. სუფრასთან მსხდომნი ნამოდგენენ და ტკბილად, გულითადად და სიყვარულით მომეგებნენ.

სიხარულისაგან ათრთოლებულმა ჩანთა იქვე, ლობის ძირში დავდე და სულმოუთქმელად მათკენ გავემართე. საითთაოდ გულში მიკრავდნენ და მიხუტებდნენ. ამ უეცარი მეხვედრით უზარმაზარი ძალა გადმომეღო.

ცოტა შევძინდი და დავფრთხი, ვეროკო ბებო რომ შევნიშნე. მეტისმეტი დარდისა და მწუხარებისაგან სახე ნაოჭებს ერთიანად დაეფარა. თვალბეჭეც ჩაქრობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი.

ხელები შემშრალეების შემდგომ პირსახოცი, ჩემდა უნებურად, უხმოდ და რატომღაც გულგრილად დავებრუნე. ვერაფრის თქმა შევძელი, სიტყვები დამეკარგა: -ახლა შეხედო, კაცო, რა ხდება! ჩვენ შევიკრიბეთ ვარლამის ხსოვნის აღსანიშნავად, დღეს ხომ მისი დაბადების დღეა, - რინიანად აღაპარაკდა ზალიკო, - ავერ კიდევ გივიკო არ გამოგვეცხადა?! დიდება შენდა ღმერთო! დიდება შენდა!.. აი, ძმაკაცობაც ამას ჰქვია. სამაგალითოა, მე თუ მკითხავ, ეს ძმაკაცობა, მართლაც სამაგალითო! ცოტა უცნაურიც კია, აბა როგორ! - შეეკამათა ზალიკო თავის თავს, - პირველი სადღეგრძელოც არ მითქვამს, ჩემო გივიკო, და უცებ შენც არ გამოჩნდი?! - ლიმილით გადმომხედა და ღვინით სავსე ტიქა უფრო მაღლა ასწია.

ცოტა ხნით მოულოდნელად გაყურდა. თითქოს გონებაში რალაცას არჩევდა და ალაგებდა. ან იქნებ უფრო მრავლის მითქმელ სიტყვასა და გამოთქმას ეძებდა? ამ უეცრად ჩამოგდებულმა სიწუმემ უფრო გაალამაზა სუფრა და მთელი ეზოც. სხვაანირად გამოჩნდა ყველაფერი: თურმე ვანირდებასაც ჰქონია თავისი ხიბლი და მიმზიდველობა. ვისხედით ასე გაყურსულნი, როცა ელოდებოდა მრავლის მომასწავებელ და უაღრესად მნიშვნელოვანს დაბადებას; როცა სიტყვები აღარ არის საჭირო.

უცებ ისევ ზალიკომ დაარღვია დუმილი. შეჭმუხნილი სახე მარცხენა ხელით მოიჩრდილა და გზას მიაშტერდა: - ანტონა, შენ ხარ თუ ვცდები, ბიჭო?! ჰა, გამეცი ხმა თუ არა რალაცა დამემართება! - მიაძახა გზაზე მიმავალ კაცს და მოჩრდილული ხელი მალევე უკან ჩამოიღო: - მე ვარ, მე!.. ნეტა რამდენი ანტონი ცხოვრობს ამ სოფელში, ვინმემი რომ აგვირო! რა გემართება, ზალიკო, ხო არ დაბერდი?

- მერე ასე აპირებდი გვერდის ავლას, აქეთ არ უნდა შემოგველო?! მე კაცო, ორივე ჭიშკარი პირდაფრენილია, მტრისას და ავისას, ამ გაინტერესებს რა ხდება? - ახლა, არ მარაგზაზე რამდენი კაცი გაივლ-გამოივლის ყველამ აქეთ რო შემოვიაროს, რას დაგეგმავსება აქაურობა, თუ გივიკოსა ამაზე?! - ჰეი, ჰეი, თავისთვის, ხმადაბლა გაიძახოდა ანტონი და აუღელვებელი ნაბიჯით თანდათანობით გვიახლოვებოდა.

ჯერ ზალიკოს გადაეხვია, მერე ჩამოგვიარა და თითოეულს ცალ-ცალკე აღერსიანად მოესიყვარულა. მორიახლო დამიდგა, თვალს თვალში გამიყარა, უცებ ხელები მომხვია და ისეთი ძალით შემეჯახვალარა, მეგონა, შუშასავით დავიმტხვრივდი. თან ყველას გასაგონად სოფლის სიამაყე მიხრდა და მიჩრია, ჩემთვისაც უკეთესი იქნებოდა სოფელს დროზე დავერუხებოდი. მყისიერად დადუმდა და თითი კერასისაკენ გაიშვირა. თითქოს სიტყვები შემოაკლდაო, მზერით ზალიკო მოხახა და ოღნავ თავის მიტრიალებით თვალბეჭეც მორაობით ზალიკოს შეეკითხა: კერასი რატომ, რა ხდება?

-როგორ, ანტონა, დაგავიწყდა, დღეს ჩემი ძმის დაბადების დღე რომაა? დავიჯერო, ვარლამი ასე უცებ გადაიგდა გულიდან? - წყრომით შეეპასუხა ზალიკო.

-აუ, ღმერთო კი მომკალი! ეს რა დამემართა?! მარა მე კი არ დამემართა, სიბერემ დამმართა!.. ხო ვარ ახლა მე სიკვდილის ღირსი. ჩემი ვარლამის დღე როგორ გამოიქვარა, რამ გამომაშტერა?!

- დადგა სილაგანწულივით და იმგვარად მოიღუფა, გვეგონებოდათ, ნუთი-ნუთზე დასასჯელად გაიყვანდნენ. - არადა, ამ დღეს როგორ აღვნიშნავდით! რა ტაშფანდური გვექონდა გამართული! ჭიქამი ნვეთ ღვინოს არ ვტოვებდით. ახლა კიდევ... - სიტყვა ვეღარ დაამთავრა, თვალზე მონოლილი ცრემლი ცხვირსახოცით აუჩქარებლად შეიმშრალა და ჩვენსკენ მორიდებით, ნიწანამხდარმა გამოიხედა. დაეტყო, გული როგორ ეთანადებოდა და იმავდროულად გაუხედაობის, ორჭოფობის აღმიც იყო გახვეული. მოგვიანებით როგორღაც თავს სძლია და სხივმოსილი თვალბეჭეც პორიზონტს მიაპყრო. ვითომც სცენაზე

მდგარიყოს - ნელი, თანაბარი და აწონილი ხმით ვარლამზე ისტორიებისა და თავგადასავლების მოყოლა ნამოიწყო. რა ნამსაც შეამჩნია, ჩვენს სმენას დაეპატრონა და მზერასაც ხელი ჩასჭიდა, მეტი სითამამით, სილაღითა და საზეიმო განწყობით უფრო გაამდიდრა თავისი გამოსვლა, - ხუმრობა და იუმორი უხვად მოსჩქევდა.

ადრინდელივით განუმეორებელი და შეუდარებელი იყო ანტონა. მისთვის დამახასიათებელი მოყოლისა და გადმოცემის ჩვეული მანერებით. კიდევ მეტად ენაკვიმატობდა და ოხუნჯობდა, ვიდრე ოდესმე. ყოველი მარილიანი სიტყვა უფრო გულშიჩამწვდომად გაისმოდა, ვიდრე წლების წინ, გაკვეთილების შემდეგ რომ გვესმოდა სოფლის კლუბში. ვარლამ ბაბუსა და მისი სხარტულა, ორღესული გამონათქვამები სიცოცხლეს სკოლაში განაგრძობდა, შესვენებებზე ჩვენს სახუმარო ლექსიკას არაჩვეულებრივად ამდიდრებდა.

მაგრამ ეს რა ხდება, რატომ შეჩერდა? შუბლზე ჩამოშლილი თმაზე ხელი რატომ შეეყინა და უკან ველარ გადაინია? ასე მოულოდნელად რად მოდუნდა? ერთბაშად დავიძახებთ და ჟურნალტელმა დაგვიარა. ჩუმად თვალზე ზალიკოსაკენ გააპარა. მეგონა, ასე უეცარი გარინდება და ხმის გაკმენდა წარმოდგინის ნაწილს თუ შეადგებდა.

-ზალიკო, მაგარი კაცი ხარ, შენ დღეს ძალიან დამეხმარე, პირდაპირ გადამარჩინე! -რა მოხდა, ანტონა, ეს რაღა არტიტობა ნამოიწყე, რალაც არ მესმის!?

-ვერ გაიგე ხომ, ვერ გაიგე! მართალი ხარ, საიდან გაიგებდი?! - ხმაში სიხარული და დეტყო ანტონას. - ა, ბატონო დეპუტე! სწორედ ამ დეპუტეს დავატარებ ჯიბით ბარე ორი კვირა! სულ მერიდებოდა შენთვის გადმომეცა. ვითომც მხრებიდან ტვირთი ჩამოსხსნესო, ისე წარმოთქვა ანტონმა.

-რა დეპუტე, ნუ გადამრიე კაცი! მერე დეპუტეს მიმაღაღდე ამდენ ხანს?! - ბრაზი მოასხა ზალიკოს.

- მოიცა კაცო, კი არ გიმალავდი... მომისმინე აქეთ, ერთი ნუთით! კლუბის გამგე უმანგი, ხომ იცით, ძალიან ცუდად რომაა, ეზოში გააოხრვაც კი უჭირს. ჰოდა, უფროსობამ მე დამაძვალა კლუბის გამგეობა. საბუთებს რომ ვიბარებდი, თუ რა ჰქვია იმას - დოკუმენტებს, უცებ იქ აღმოვჩინე ეს დეპუტეც, თუმცა რალა დეპუტეა, დიდი ხნის წინათ არის მიღებული. ა, შეხედეთ როგორაა გაყვითლებული.

ანტონმა დეპუტე აქეთ-იქით დაატრიალა, უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის, მისი მონაყოლი უქბილო ხუმრობად რომ არავის მიეღო.

ცოტა ხნით შეყოვნდა. ჯიბიდან სათვალე ამოიღო და ვიდრე წაგვიკითხავდა, კიდევ ერთხელ გადაგვივლო თვალს: „ვარლამ ზარიშვილი: თეატრის ხელმძღვანელობას მოველაპარაკე. თანხმობა მივიღე. გელოდებით“, მერე თითებზე რალაცის თვლა დაიწყო, როგორც მიხვდით, რალაც აერია და ხელმეორედ გამოთვალა: -აუ, ეს დეპუტე კაი ოთხი წლის წინათაა გამოგზავნილი, აწი რალა ფასი აქვს, - სახეზე მინისფერი დაედო, ხმაც შეურბილდა და ისე მოჰყვა თვალბეჭეც ცეცებას აქეთ-იქით, თითქოს დანაშაულის ცხელ კვალზე ნაესწრო.

-ჭეშმარიტად ამბობ, ძმაო ანტონ! მაგ დეპუტის ადრესატი წელწინაზე მეტია რაც გარდაიცვალა. ახლა მაგ დეპუტის ადგილი არქივშია, - ვითომ ხუმრობით წარმოთქვა ვეროკო ბებო. თუმცა მაშინვე ცრემლი მივრია და უმალ სამზარეულოსაკენ გაემართა. კარების მიხურვისათვის ვემიმე ამონაკვენის ხმამ ეზოს გადაუარა.

ზალიკოს სახე დაეღმეჭა. რალაცის ამოთქმა სურდა, მაგრამ გამანარებულმა ენა ველარ დაიმორჩილა, თავი გამეტებით გადაიქნია და რალაც გაურკვევლად ჩაილულულა. მოგვიანებით მისკენ მიჰყრობილი თვალბეჭეც რომ შენიშნა, ვითომც მიმიღე ლოდს ისხინდა მხრებიდან, ჰაერში მუშტი ღონივრად მოიქნია და ყველას გასაგონად ბრღვინით ამოთქვა: „დიდი უგემური კაცია ეგ უმანგი!“ მისი ღმუთი ბედინერასთან შეუროგებლობად წარმომიდგა ირგვლივმყოფთა წამოტირებისა და ამოკვენისათა ფონზე.

ფიქრებმა საღაცეა მორს, დასალიერში წამლეკა. სულში კორიანტილი დამიტრიალდა და უეცრად სხვაგან გადასახლდი, - უცნაურ და უხიავ ადგილას. მარტოდმარტოს ასეთ გრიგალთან შექიდება გაუსაძლისად მომეჩვენა. ტკივილი, მთიდან დაგორებული თოვლის გუნდასავით, წამიდან წამამდე იზრდებოდა. თავს ვებრძოდი და, შესაძლებელია, გულში მომძლავრებული გმინვითა და ამოხრებებით ვარლამ ბაბუს ხსოვნისათვის რამენაირი ჩრდილი მიმეყენებინა. მაშინვედნენ, ალბათ, სადღეგრძელოებს თუ როგორ უღიშლამოდ და მაშინაღურად ვიმეორებდი, - უფრო მოვალეობისათვის. ამიტომ ნასვლა ვარჩიე.

-კი, შვილო, გივიკო! შენ ახლა დაღლილი იქნები და მოსვენება გესაჭიროება, - ამ სი-

ტყვებით გამამხნევებს და გული გამიკეთებს, როცა ნასვლის სურვილი გამოვლენი.

რამდენიმე ნუთი ბარგით ხელში ჩემი სახლის წინ ავისვეტე. იმ მოგზაურვით, ძნელ შემოტყვევებს, განსაცდელებსა და ფათერაკებს რომ გაუძლიო და მფობლიო კერას მანც საღსალამათი დაუბრუნდა.

თხრობის თანმიმდევრობას ვერ დავარღვევ და, შესაბამისად, დადგა დრო ოჯახის წევრებთან შეყრისა და შეგებების აღწერისა. მინდა გულწრფელად გაგანდოთ, ჭეშმარიტი და უტყუარი სურათის დასახატად ჩემი კალამი უძლიერი აღმოჩნდება: მრავლად იყო მადლიანი ლიმილი, სიხარული და ერთთვის მონატრებიდან ამომჩქიფარე აღტაცებები. ერთი სიტყვით, აქ სიამტკბილობისა და ძვირფას გრძობათა ბატალიები გაჩაღდა. ეს ტილო სრულყოფილად რომ აღწერო, მერწმუნეთ, ამისათვის ვერმეწერის ფუნჯი და მეტყველი ფერებია საჭირო. თქვენი მონამორჩილი კი ამგვარი იშვიათი და შეუდარებელი ნიჭით სულაც არ გახლავთ დასაჩუქრებული. ამიტომ დიდი მონივნებითა და თავმდაბლობით დავძენ: იყო უსახლვრობამდე მისული სჯა-ბაასი, თავისიანთა სისხლით ნასაზრდოები გულლიობა და ალერსი, რომელიც მცხუნვარე მზის სხივებით ყოველგან იფრქვეოდა.

გვიან დაძინების მიუხედავად, დილით ადრე ადგომა მანც შევძელი. ეზოში ლამაზი, სურნელოვანი ყვავილები დავკრივე და სასაფლაოსაკენ მიმავალ ბილიც დავადექი. ახლადამონვერილი მზის სხივები უჩვეულო ძალით მავსებდნენ, რომელიც ასე საჭიროა მოჩქარე ადამიანისათვის, გარდაცვლილი მეგობრის საფლავისაკენ რომ მიეშურება. გზაში გულით ვხარობდი, მშვენიერი, საუცხოო თავიგული რომ გამომივიდა და სუნთქვაშეკრული ნუთიდან ნუთამდე ნაბიჯს ვუჩქარებდი. საფლავის ქვასთან მიახლოებისას მენახკრავივით ერთ ადგილას დავიხე, ნაბიჯის გადადგმა ველარ შევძელი. ერთბაშად უხერხულობამ მომიცვა და მეტისმეტი დაბნეულობისაგან ხელში თავიგულის ბრუნვა - ტრიალი წამოვიხეე.

არადა, ალიონზე წარმოუდგელი შემართებით გამოვემართე აქეთ ძალზე მნიშვნელოვანზე სასაუბროდ, მინდოდა ყველაფერი დანვრილებით ჩამეკენჭა ჩემი ვარლამ ბაბუსათვის. ახალა კი დამემართა?! მისი თვალბეჭეც ადრინდელივით ნათელი შუქით იყო გამთბარი. მაგრამ როგორ მომეყოლა? რანიარად? ჰო, უწინარესად გუმი მობხდარი ამბავი მსურდა ჩამენიკნიკებინა მისთვის და გული მომეღობო. აფსუსს, რა გაენყობა! სულაც არ ყოფილა ასე ადვილი. თურმე მიუხედავოდ, საარაკო რამ დამისახავს. „ყოჩაღ, ბიჭო!“ - ორონიულად შემოვძახე საკუთარ თავს. უეჭველია, იმ ნუთში ცეტის გამომეტყველება მეხატა სახეზე. შევლა მესაჭიროებოდა. უსუსური, უმწეო ბავშვივით მზერა საფლავის ქვისაკენ გამეცეცა. დიდი კრძალვითა და რიდით პირდაპირ თვალბეჭეც ჩავაცქერდი, იქნებ სამშვიდობოს გავეყვანე და მდგომარეოდან დავეხსენ. მჯეროდა, იგი არ მიმატოვებდა და უსათუოდ ხელს შემამშვილებდა, - მას ხომ გამორჩევით ვუყვარდი.

უეცრად მის თვალთა უკიდევანო სიღრმიდან, დაუჯერებელი სიმორიდან, კამკაშა მარადისიდან იდუმალი ხმა შემომესმა: „რას აბორგებულხარ, რატომ შფოთავ, გივიკო? შენმა გამოუცდელიობამ დაგაბნია, ბაბუ! თორემ რაც გუმი მისიწინე და განიცადე ადამიანთა მოდგმის ძველთაძველი თვისება!“

სასიამოვნო ჟრუნტელმა ელვასავით დამიარა. თვალის დახამხამებაში შევიცვალე და გავმხიარულდი. უცხოსაგან ხომ არა, ჩემი მეგობრისაგან იყო წარმოთქმული. უეჭველად მიმიღე და დამქანცველი გამოცდილებიდან გამომდინარე. ამიტომაც განუწყველად, ყოველნაირი აწონ-დაწონვისა გარეშე, მოსმენისთანავე უშუალოდ ვინამე.

ისეთი გრძობა დამეუფლა, ვითომც ვრცელი, წყალუხვი მდინარე უდრტვირველად გადამელახოს. მოვარდნილმა სულისკვეთებამ მარღვიანი ხელი ჩამჭიდა და საღაცეა მორს, ჩემს თვალსაწიერში ახლადგაღებული კარისაკენ მიმანიშნა.

თავიგული დაეშალე და საფლავზე თრთოლვითა და რიდით მიმოვფინე. მერე გულმა აღარ მომიტონა და თვით საფლავის ქვასაც ხელი მოფერებით გადავუსვი. ვეალერსებოდი და თან ხმადაბლა ვჩურჩულებდი: „შენ მხოლოდ სათვალავი არ დამეკლებიხარ, სხვანირადაც დამაპყდი“. დიდხანს აღარ დავყოფიდი, გულაჩუყებულ ნამოვედი და ნამოვედი.

სასაფლაოს დატოვებისთანავე გულში იმედგაცრუების ნესტარი ცივად შემოიჭრა და იქ ურყევად დამკვიდრდა. ეს კი ცხოვრების გაროფაუზე, პირტიტველა ჭაბუკისათვის სახეში სიხის გარტყმასა და მტკიცეულ მუჯღუჯუნზე მეტს ჰგავდა. ამ შემთხვევამ ხანდაზმულობამდე არაერთხელ ამრია და დროდადრო მაცდურსავით გზაკვალსაც მიხლართავდა.

ის!

არ მქონდა ბედნიერება მისი სტუ- დენტი ვყოფილიყავი, არადა, უკვე ვიცნობდი. 12 წლისას მისი წიგნი დედამ მომანოდა და მითხრა, კმარა ზღაპრების კითხვა, დროა სერიოზული ლიტერატურის კითხვაზე გადახვიდე და დაიწყო ქართველი ავტორებით. რომ წაიკითხავ, შენს შთაბეჭდილებებზე მომიყვივო.

წიგნში ნოველები ეწერა და ამ პატარა, მოქნილი ამბების ავტორი ჩემი სულის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ის მწერალი შემეყვარდა. დიდი დრო გავიდა, მაგრამ ნოველების ის ავტორი არ დამვიწყნია. გრძნობა სულში არა თუ დარჩენილა, გაძლიერებულა კიდევ.

ახალგაზრდობისას ხშირად ვხედავდი ჩაფიქრებული სახით დერეფნებში მიმავალ მწერალს, რამდენჯერმე ლანდივით ავედევენე, ის კი უკანმოუხედავად მიდიოდა, ვერც კი მამჩნევდა ან რა იცოდა, რარიგ ახლობელი იყო ჩემთვის. დღეს მას ჩემს მასწავლებლად, დამრიგებლად, ერთ-ერთ აღმზრდელად ვთვლი, ვინაიდან ის ქართული მწერლობის კაშკაშა ვარსკვლავია. ახლახანს გავუბედე მეთქვა, რომ ძლიერ მიყვარს. ეჭვი არ შეპარვია ჩემს გულწრფელობაში. კმაყოფილი დავრჩი ჩემი საქციელით. მან კი მიპასუხა, ჩემი მეგობარი ხარო!

თორმეტი წლისამ წიგნის მეშვეობით გავიცანი, ორმოცდათხუთმეტისამ კი პირადად, თუმცა ვხედავდი ლიტერატურულ საღამოებზე მწერლის სახლში და სხვებით მასთან მიახლოებას ვერ ვებედავდი. ის თავმდაბალია, თუ კარგად წერ შეგაქვებს, ცეცხლს შეგინთებს, რომ არ გარერდე, წერა გააგრძელო. მდიდრულად, სიტყვებით მოგეფერება. ასე მოხდა ჩემთან მიმართებაშიც. შექება ისე ძლიერ მეამა, რომ კურცხალიც ჩამომიგორდა ლანჯებზე და ვიფიქრე, სად ვიყავი აქამდე, რატომ ვერ გავიცანი, ან ვინმეს, მის მეგობარს რატომ არ ვთხოვე გამაცანიო?! როცა მოთხოვნილი და ხმამაღლა გაცხადებული მქონდა სურვილი და უფროსმა მეგობარმა, პოეტმა ზურაბ მამულაშვილმა გულისნადები ამასრულებინა, მას მერე ვიფიქრე ამგვარად. მეღიბება, თურმე რამდენი ახლობელი მყოლია, ვინც მას პირადად იცნობს!

ნიკო ბალაშვილმა მისი ორი რომანი მათხოვა, „წამება“ და „ციყვი ბორბალში.“

ორივე რომანში მწერალი დიდ გულისტკივილს გამოხატავს იმის გამო, რომ უკვე თავისუფალ ქვეყანაში ღვანღმოსილ ადამიანებს უდიერად, აგდებულად ეპყრობიან, ამ ქვეყანაში ადამიანი თავისი დიდებულებით თავად სახელმწიფოს მესვეურთ არ აინტერესებთ. საქმე იქამდეცაა მისული, რომ განათლებული, მშრომელი და ნიჭიერი ახალგაზრდებიც გარბიან ქვეყნიდან, რომ ცხოვრებაში საკუ-


თარი თავი იპოვონ. ორივე რომანი თანამედროვე საქართველოზეა და ესაა პერიოდი „სააკაშვილის ათწლეულის“ მმართველობისა. მწერალი ყურადღებას ამახვილებს მისი რეჟიმის მრავალმანკიერებაზე, რომელიც აიძულებს ადამიანებს გადაგვარდნენ, გახდნენ ყოველმხრივ გაცილებით ცუდნი, ვიდრე წარსულში ყოფილან.

სანამ რომან „წამებას“ წავიკითხავდი, ვამაყობდი ჩემი ქვეყნის ისტორიით, არასდროს ქართველებს სხვისი მინების დაპყრობაზე რომ არ უფიქრიათ, მეტიც, ქართველი მეფეები მეზობელ სომხებსაც იცავდნენ მტრებისგან და საქართველოს მხოლოდ ვასალი ქვეყნები თავიანთი ნებითვე ევასლებოდნენ, მაგრამ „წამება“ ისეთი წიგნია, რომელმაც საქართველოს წარსული და აწმყო ერთი მიზანმიმართული რაკურსიდან დამანახა, როგორც ცხოვრება ერთი ადამიანისა, რომელმაც ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ნელ-ნელა დაკარგა მნიშვნელოვანი უნარები. ქართველები საკუთარი, წართმეული მინების დასაბრუნებლად ხმალამონვდილნი დაჰქროდნენ, მხოლოდ თვეების, წლების კი არა, საუკუნეების მანძილზეც, რომ კუთვნილი დაებრუნებინათ. იყო აღზევება, დაცემა, მაგრამ წამოდგომა და წელში გამართვაც შეგვეძლო. მომხდურებს ვეჭიდებოდით, ვაძევებდით, მაგრამ მშვიდობიანად შემოსულებს, ქართველთა გვერდით დამკვიდრების მოსურნეებს მკერდში ვიკრავდით. მერე რუსეთმა შეგვიფარა და აი, მაშინ დაიწყო უბედურება, ქართველები მიაჩვიეს ტერიტორიების დაკარგვას.

რომანის მთავარი გმირი ისტორიკოსია, პროფესორი, ნომერ პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი, რომელიც წარსულში მრავალჯერ დაუთხოვიათ სამსახურიდან, შემდგომ ღირსეულადაც დაუბრუნებიათ, მაგრამ ამჯერად სამუდამოდ გააძევეს და შიშით გამოქომაგება ვერავინ გაბედა. სულდამიმებული ისტორიკოსი დავით გარეჯის მამათა მონასტერში მივა და იქ მოღვაწე შავი სამღვდელოების წარმომადგენელ ახალგაზრდას დაუთხოვებს თავის რომანს წასაკითხად. ბერთან ერთად მკითხველიც შედის საქართველოს იმ წარსულის მომენტებში, როცა ჩვენ ძლიერ გვიჭირდა, მაგრამ რწმენა და შემართება გვექონდა, რომ ტერიტორიულად არ შეემცირებულყავით. ქრონოლოგიურად პატარ-პატარა მომენტებზე აგებული რომანი დღევანდლობამდე მოგვიყვანს და ჩვენს სავალალო მდგომარეობაზე მწარედ ჩაგვაფიქრებს.

სამეგრელოს მეფე ლევანი აღელვებულია იმის გამო, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მეთექვსმეტე საუკუნეში მასიურად შემოდიან აფსუა-ყაზარდოელები და მკვიდრ აფხაზებს ავინროვებენ, საკუთარი მიწიდანაც კი აძევებენ და ლევან მეფე

სამეფოს გადარჩენისთვის ელჩებს აგზავნის რუსეთში, რომ მათგან დახმარება მიიღოს... ტყუილად არ შფოთავდა მეფე. დღეს აფსუებმა აფხაზობა დაიბრალეს და რუსეთის დახმარებით გაბედეს, თავი სხვა სახელმწიფოდ გამოეცხადებინათ. თითქმის აღარ გვაქვს ჩრდილოეთის მხარე, აღარც მესხეთის დიდი ნაწილი, თურქეთის ტერიტორიაზე გადაჩრქდა და დღემდე იქაა. ახლო წარსულში სამაჩაბლოს ოფიციალურად სამხრეთ



ოსეთი უწოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულ მიწაზე ჩვენზე მეტად გამრავლდნენ. ჯიუტად გაიძახიან, თქვენგან დამოუკიდებელი ქვეყნები ვართო და ჯერჯერობით გასდით, რუსეთს სურს ამგვარად და იმიტომ. ამ რომანმა კიდევ უფრო მძაფრად განმაცდევინა ჩვენი სატიკვარი, რომ არასდროს მეგობარი სახელმწიფოები არ გვეყოლია. მხოლოდ გვმტრობდნენ, ზოგი აშკარად, ზოგიც ფარულად და რუსეთი? რუსებისა და ქართველთა მეგობრობის შესახებ მითებს თავადვე ვქმნიდით, ასე გვწადადა. რუსეთს საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა, ასეა ახლაც, ისე კი ქართველები მშობლიურ ენიანად აღიზიანებდათ რუსებს და ცდილობდნენ ჩვენს გარუსებას. გასაბჭოების შემდგომ ქართული მიწების ნაწილი თავისად გამოაცხადეს, სომხეთმაც დრო იხელთა და ჩვენი ტერიტორიები მიითვისა, აზერბაიჯანმაც. საქართველომ ხელი ჩაიქნია, საკუთარი უმწეობა დაიჯერა, დანებდა და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. გვეკარგება მინები, საქართველო... რუსეთს არ ვუყვარვართ, მაგრამ მისი ნების წინააღმდეგ და ღვთის შეწევნით მათი არსებობა ქართველობას მაინც გვიცავს, რომ არ აღვიგვეთ დედამიწის ზედაპირიდან. რომანში „ციყვი ბორბალში“ მოგვითხრობს ერთ კარგ ადამიანზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფია. ლავრენტი მიქავას აწმყოში არ ჰყავს ოჯახი,

მარტოხელაა და მწერალი გვიამბობს ბავშვობის, მისი ოჯახური მდგომარეობის, მოსწავლეობის, სტუდენტობის და სიბერის შესახებ. ესაა კაცი, რომელსაც ცხოვრების ყველა ეტაპზე უზღუდავდნენ თავისუფლებას, მაგრამ გამოუჩნდება უფროსი მეგობარი ფოტოჟურნალისტის სახით, რომელსაც ლავრენტი ენდობა და ახლობლად თვლის. საბოლოოდ რომანის მთავარი გმირი კეთილშობილ ადამიანად ჩამოყალიბდება და თავადაც ფოტოჟურნალისტი გახდება, თუმცა პრეზიდენტმა შარი მოსდო, ქვეყნისა და პრეზიდენტის მოლაღატედ უნდა გამოგაცხადო და სხვა ფოტოგრაფთა შესაშინებლად სასტიკად დაგსაჯო.

ციხეში მოხვედრილი ლავრენტი ხედავს, რომ იქ მასავით უდანაშაულო ადამიანებს ტანჯავენ და მათი რაოდენობა განუსაზღვრელად დიდია. ყველა მათგანი დამკვიდრებული სისტემის მსხვერპლია. გული უმტყუნებს და სხვა ტუსალებთან ერთად საავადმყოფოს პალატაში მოხვედება, რომლებიც ყვებიან თავიანთ სასიყვარულო ამბებს, რომლის შედეგადაც იქმნება მშვენიერი, დაუვიწყარი რომანული ეპიზოდები. სწორედ ეს ადამიანური ურთიერთობები ჰმატებენ მთავარ გმირს სულიერ სიმტკიცეს.

მწერალმა იმ პრეზიდენტის ბედი იწინასწარმეტყველა. ლავრენტი სიზმარში ნახავს პრეზიდენტს, რომელიც მასავით პატიმარი გამხდარა. ლავრენტის სურს, პრეზიდენტს თვალეში ჩახედოს და ყელში ხელი წაუჭიროს, მაგრამ ვერ ახერხებს და გამოღვიძებული ნერვიულად ცახცახებს. როგორია, როცა არაფრის გამო ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას მოგიხაჯან?!

არჩევნების დამთავრებიდან ერთი თვის თავზე ლავრენტის ბოდიშს მოუხდიან, რომ თვითნება ხელისუფლების მსხვერპლი შეიქმნა და გამოუშვებენ, მაგრამ იქ, ციხეში ამ პატიოსანმა ადამიანმა ცხოვრების ორი წელი დაკარგა, ისიც აღსანიშნავია, რომ გარეთ გამოსვლამდე ლავრენტი მიქავამ იცოდა, პრეზიდენტი საზღვარგარეთ რომ გაიქცა. კი, გაუშვეს, მაგრამ როგორც ჩიტი გალიიდან, გამოფრინდი, გაფრინდი და თავში ქვა გიხლიაო, ასე გამოუვიდა ახალ ხელისუფლებასაც. ლავრენტი უმუშევარი გახდა, მაგრამ თავისი პროფესია მაინც აჭმევს პურს, კარგ ფოტოებს იღებს. რუსთაველის მეტროს შესასვლელთან დგას, რომელთანაც გამოლაპარაკება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია.

რომანების თხრობის მანერა განსხვავებული და ორიგინალურია. ამბებიც მკვეთრად გამოხატული, ეტყობათ, ნოველების დიდოსტატის შექმნილნი რომ არიან. ის გახლავთ ქართველი კლასიკოსი, მართლაც რომ სახალხო მწერალი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე!

თინათინ ჭყელია

ნაირა შერმაზანაშვილი

ნითელ ღრუბლებით ცამ პირი შეკრა და ყაყაჩოსფრად აწვიმს მოძმე ერს, ფესვიანად გლეჯს რქებით მტარვალს...

იზოლდა ჭიპაშვილი

გული ვერ იტევს სიყვარულს, ულუმბოც ეცოტავება, კოპი შეუკრავს მალლით ცას, ამინდიც რას მედავება?!

ლიკა ფარცვანია

ციკლიდან

„მომენტა უსაშველოდ“ ...

უკვე აღარ მენატრები, გადამლალა სიშორემ. გულს ეჭვების ჭია მიჭამს, დარდი ვერ მოვიშორე.

მომენტა უსაშველოდ მოლოდინის ზღაპარი, სიყვარულად რომ მოვინათლე, მთვარის შუქით ნაბანი,

ნიკო ბალაშვილი

ქუჩა უყვებოდა მკვდარ-ძალს სიცოცხლეს, გათოშილ მზისკენ ბილიკს ვეძებდი,

ბელა ალანია

თვალწინ ამიშრიალდნენ ფერნაცვალის ფოთლები, ზამთრის ერთგულებაში ბელურას ვეტოლები.

მე სამოთხის ვაშლებს ვკრეფ და თეთრი კაბა მაცვია, შენ - ცხოვრების ბილიკებმა ჩემს კაცად ვერ გაქცია.

აქ ჰაერში დაფრინავენ ოქროსფერი პეპლები, შენ კი ერთი ვაშლის გემომ დაგიმტვრია ნეკნები.

ვერასოდეს ვერ მოიხდენ ჩემს ნაჩუქარ მანტიას, ჩემმა ფუნჯმა თეთრ ტილოზე ერთ კუთხეში დაგტია.

ჰოდა, არ მსურს, გავიხსენო, ადრე რატომ გხატავდი... დედოფლურად დაგამთავრეთ გუშინ შენ და ნახატი.

მაია ხოფერია

შენ, უზრალოდ...

ირიჟრაჟა — ქარს ფიფქებად შევერიე, წვიმს და თოვაც დაწყებულა დილიდან, უჩემობას ასე როგორ შეელიე,

მაია დიაკონიძე

მივყვები ქუჩებს, გადაცრეცილებს, შენი თმის ფერი მოსავთ და სულში სევდად ამოჭერილებს

ვერ ავუდივარ დაგვას, ხაზდახან ოქროს და შინდის ფოთლებს, მკერდზე მძივებად მაბამს, და თუ კი მალე მოვა უშენოდ ერთი ახალი წელი,

ეკა კვიციანი

ვერ გადავიტან ამ ზარმთარს ვაცყოფ, ნამით დაცვარულ მინის შემყურე, ვუცქერ და მზიან გაზაფხულს ვნატრობ,

ნინო როსტიაშვილი

და მაინც მოვა

ცა ნითური და ოდნავ მოკალუელი, მზე ცის კაბადონზე შუაზე გახლეჩილი, ამინდი მკაცრი და დეკემბერმინურული,

თინა გელაშვილი

არ დარჩება...

არ დარჩება, არ დარჩება არა, არ დარჩება ჩვენი ყოფნის კვალი. თუ ქვეყანას არ მოვუვლით კარგად, თუ ერთმანეთს არ მივეციით მხარი.



მაია ხოფერია - 60

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი მაია ხოფერიას ასული ხოფერია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ქალბატონო მაია!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ პოეტს და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი პოეტური დებიუტი 1976 წელს შედგა, როდესაც ფოთის საქალაქო გაზეთი „ახალ კოლხეთში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „მე შენთან მოვალ“. მას შემდეგ თქვენი ლექსები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მართლაც რომ ინტერესით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „შენში ლექსებად და დავიფანტები“, „ბედნიერება მაცვია კაბად“, „შენთვის სათქმელი“, შეშლილი ქარი... ამ დაინტერესებას კი ის გარემოება განაპირობებს, რომ მათ ავტორს სრულად აქვს გასიგრძელებული, რომ ღმერთი სიყვარულია, რომ მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს ლამის ასაფეთქებლად განწირულ ჩვენს ულამაზეს ციხეში პლანეტას, დედამინა რომ ჰქვია სახელად, გადაარჩენს სიგიჟის ზღვრამდე მისულ კაცობრიობას, რომელიც სიძულვილის, სიბილნის, თვინანადგურების ავადმყოფობითაა შეპყრობილი.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი, სიყვარული ბატონებივით რომ შეჰყვია, ღვთის საკურთხევლიდან დაჩოქილი შეჰღალადებს არსთაგამრიგებს და თავის დიდ სიყვარულზე, ტკივილებით, ტანჯვით, ვაებით გაჯერებულ, მაგრამ იმედთან სიყვარულზე ესაუბრება... მზადაა თივის ზვინში დანთებული სიყვარულის ვეება ჭიაკოკონაში ბოლომდე დაიფერფლოს, კარგად იცის, რომ პოეტები სიტყვებში, ჯადოსნურ სიტყვებში ცოცხლობენ და სიტყვებშივე კედებიან. სწორედ ამ სიტყვებს ალაგებს ხსოვნის თაროებზე, თავი ქართვი გადადღობ ტირიფად წარმოუდგენია და შხაპუნა, მაცოცხლებელი ნემასავით აგროვებს სიყვარულის ნამცეცებს, იკარგება სატრფოს მშვიდ თვალეში და საზრდოდ იმედის მცირე სხივიც კი ყოფნის. თუ რამ ამშვიდებს, ის ამშვიდებს, რომ საფლავეში იმ ლექსებს ჩააყოლებენ, რომლებსაც ნანდაურისთვის ქმნიდა...


თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ესპანურ, ბულგარულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე.

პროფესიით იურისტი ბრძანდებით და სხვადასხვა დროს გიმუშავიათ ფოთის სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ, საქართველოს დემოკრატიული პარტიის იურისტად...

თქვენს ჯილდოებს შორის გამოირჩევა ილია ჭავჭავაძის პროზა-პოეზიის კონკურსის გრან-პრი, ხართ კონკურს „ლექსის აკვანის“ გამარჯვებული.

ძვირფასო მაია! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს თანამოსანგრეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით ნისნულას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



რეზო ადამია - 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე რეზო (ემელიანე) მიხეილის ძე ადამია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო რეზო!

ჩვენი ძვირფასო მეგობარო! საქართველოს მწერალთა კავშირი, ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, მრავალნახანაგოვანი ნიჭიერებით გამოირჩეულ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენი, გამორჩეული, თავისთავადი სტილის მქონე ფერმწერმა მოახერხებთ დამკვიდრება თანამედროვე ნამყვან ქართველ მხატვართა შორის, მოახერხებთ საკუთარი ნიშის პოვნა ქართულ მხატვრობაში და ეს ყოველივე შესძელით მრავალწლიანი მუხლწაფრთხილი შრომის, მართლაც რომ ტიტანური გარჯისა და რუდუნების შედეგად. გვახარებს ის გარემოებაც, რომ დიდებული ხატმწერი ხართ და ამ ურთულეს და მეტად საპასუხისმგებელ დარგში ფერწერისა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეთ. თქვენს მიერ შექმნილი ხატები დასვენებულა საქართველოსა და უცხოეთის არაერთ ტაძარსა თუ ეკლესიაში.

თქვენი ფერწერული ტილოები გამოფენილია როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში, დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში, ჩეხეთსა და ლატვიაში, პოლონეთსა და რუსეთში... რაც ყველაზე საკუთრისხმოდ გვესახება, ისაა, რომ თქვენმა მხატვრობამ აღიარება ჰპოვა პარიზში, მხატვართა მექაში, სადაც მინაურ შემოქმედდ მიანიხარათ და სადაც სისტემატურად გინვევენ შემოქმედებითი მივლინებით.

ჩვენ, თქვენს მეგობრებს, მტკიცედ გვნამს, რომ თქვენი მშვენიერი მხატვრობა ქართულ პოეზიასთანაა ნიღნაყარი და მისი თვალწინდელი ლაყვარდებიდან იღებს სათავეს... სწორედ ამ გარემოებას ავალდებინათ ხელში ყალბამთან ერთად კალამიც და მწერლობაშიც გათქმევიანთ წონადი სიტყვა.

უკვე ცხრა წიგნის ავტორი ხართ, რომლებშიც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ესეისტიკა, პროზაული თუ მეცნიერული ნიაღვრები („ერი, აკაკი და სამყარო“, „ვაჟა-ფშაველა და დრო“, „სისხლი და ცრემლი“, „უკვდავება სიკვდილი“, „შედეგები და მარადიულობა“, „დაუოკებელი სული ბობოქრობა, მერანი“, „კონსტანტინე“, „წმინდა ნინო“, „მზე“). ამ წიგნებით, რომლებიც ქართული მწერლობის კორიფეებს ეძღვნება, ღრმად ჩაგვახედეთ მათი სულის უღრანებში. თუნდაც ვაჟასადმი მიძღვნილი წიგნი რად ღირს, რომელიც ახლებურად დაგვანახებთ ცალთვანა გენიოსის ფართო თვალსაზრისით, რომელსაც განახლებული მხედველობა ხელს არ უშლიდა ადამიანის არსში სრულად გარკვევად. როგორ მოუფერეთ მარტოობისთვის, მარტოსულობისთვის განწირულ ტერენტი გრანელის სულს, რომელიც კოსმიურ პოეზიას ჰქმნიდა და ანგელოზის დაჭრული ფაქეთით ესაღებუნებოდა მშობელი ქვეყნის იარებს. შეისწავლეთ მისი ნახატები და ყველასთვის საცნაური გახადეთ, რომ ტერენტი გრანელი ვასილ კანდინსკის, ფერნანდო ლეჟეს, ხუან მიროს, პაბლო პიკასოს, მარკ შაგალის დარი მხატვარი ყოფილა...

ბოლო წლებში შექმნილი რომანები „წმინდა ნინო“ და „მზე“ მწერლური ძალმოსილების მკაფიო ნიმუშებია. საინტერესო წერილები მიუძღვნით მიქელანჯელოსა და ნიკო ფიროსმანაშვილს, ზაქარია ფალიაშვილსა და ლადო გუდიაშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გალაკტიონ ტაბიძეს...

თქვენი მრავალმხრივი, უაღრესად საინტერესო მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის (2), ილია ჭავჭავაძის, აკაკი ნერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, გურამ რჩელაშვილის და ტერენტი გრანელის სახელობის პრემიები.

ბატონო რეზო! გვიხარია, რომ ძველებური შემართებით ირჯებით. ბოლო წლებში განსაკუთრებით დიდი გალაკტიონ ტაბიძე იქცა თქვენი მთაგონების მუზად, რომელსაც ოთხი პერსონალური გამოფენა მიუძღვნით...

კიდევ ერთხელ ღრმა პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს თხებიტ ტერფამდე დახვეწილ ინტელექტუალს, კოლეგას და პიროვნებას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით ნისნულას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



სოსო ბერიძე - 85

85 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი სოსო სერგოს ძე ბერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო სოსო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედსა და პიროვნებას და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენი ცხოვრება, თქვენს მიერ განვლილი ათწლეულები ერთი მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს შემოქმედი სამშობლოს, როგორ უნდა ატარებდეს გულით მის წარსულსა და აწმყოს, როგორ უნდა ელოლიავებოდეს მის მომავალს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1987 წელს გადადგით, როდესაც ურნალ „დილაში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „ია მდელია“. მას შემდეგ თქვენი ლირიკული თუ საყმწველი ლექსები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი, გემოვნებიანი და მომთხროვი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „წრელი“, „მნიფობისთვე“, „მთვარის ძუძუმტე“, „უამი განსჯისა“, „რჩეული“, „ოქროს ფაცერი“. ამ მოწონებას კი ის განაპირობებს, რომ მათი ავტორი კალმით ნაქარგ სტრიქონებს კელაპტრებად უნთებს მის საესავ სამშობლოს. ებრძვით ქართულ სიტყვას და ამ ბრძოლის ნაყოფი მკითხველიც თვალნათლივ ხედავს. ეს კია, თქვენს თითოეულ ლექსს ვეება ნაიარევი, ხანმლევი ეტყობა, ისევე, როგორც თქვენსავე სულს.

თუ რამ სწადია თვენი ლექსების ლირიკულ გმირს, ის სწადია, რომ მისწვდეს, მიეახლოს დღეთურ ლაყვარდებს, იმ სანახებს, სადამდეც ვერ აღწევნენ ეშმასული ლეგონები. სწორედ იქ უნდა არსებობა, რათა არსთაგამრიგის მადლიანი კალთა გადაეფაროს წუთისოფლის უღრანებში ხეტიანით დაღლილს. თუმცა თავმესაფრად არც მშობელ მინას თაკილობს და არც მის მკერდექვეყნებზე იტყობა უარს, ვიდრე ციდან ჩამოსული ნისლი არ ჩაებედა და გაიტაცებს ზეციური თავანისკენ...

პროფესიით მშენებელი ბრძანდებით და წლების განმავლობაში საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობებში იღებდით მონაწილეობას. იყავით კურორტ ნაბეღლავის მშენებლობის უფროსი, მშენებლობის სამინისტროს საგარეო-ეკონომიკური გაერთიანების ფირმა „მშენიმპექსის“ დირექტორი, ენგურპესის მშენებლობაზე სამენ მასალათა ლაბორატორიული კვლევისა და კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი... არჩეული ხართ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსად, აღმანახ „ამერ-იმერის“ თანარედაქტორად.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და სხვა სამთავრობო ჯილდოებით აღინიშნა.

ბატონო სოსო! კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ დიდ წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ლაშა გვასალია - 50

50 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლაშა რომანის ძე გვასალია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ლაშა!

ჩვენი ერთგული თანამოკალმევე! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან დიდებულ შემოქმედს, ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 50 წლისთავს.

თითქმის ოთხი ათეული წელია, რაც რწმენითა და სიყვარულით ემსახურებით მშობლიურ მწერლობას, მშობელ ქვეყანასა და ერს. თქვენი სამწერლო დებიუტი 1985 წელს შედგა, როდესაც ხობის რაიონულ გაზეთ „კომუნისტის მშენებელში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „სამშობლო“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, მოთხრობები, ნოველები, მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი გიცნობთ, როგორც ჩინებულ პოეტს. ამის დასტურია თქვენი ლირიკული კრებულები „სანიერი“, „გზა“, „ფიქრების ქარი“, „დასაწყისი“, „სრულებით“. ამ კრებულებით კიდევ ერთხელ გაცხადდა, თუ როგორ უნდა უყვარდეს ჭეშმარიტ შემოქმედს თავისი სამშობლო, მისი ნაწარმოები თუ მომავალი. ამ კრებულებში შესული ლექსების ლირიკული გმირი ხომ მუდამ იმ ხალხს შესტრფის და შესცივინებს, ვინც მშობელი მიწის ერთ მტკაველ ველსაც კი არ თმობდა, შესტრფის ქართველ გუთნისდევას, კორიოხუროს, მეზვრეს, ყველას, ვინც აქამომდე მოიყვანა ღვთისმშობლის ნიღვდომილი ქვეყანა. გული უკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ მატარავდებ შატრების ტყავით მისი საესავი მამული, როგორ ტირიან კონიდრები ილორის კურთხეულ სანახებში, როგორ შავდება ცა, ცრემლითა და ძაბით ნაფერი. ენატრება დიდი დავითი და ილია, თამარი და დემეტრე, ცოტნე და თევდორე მღვდელი. კვეტარის ციხიდან დანახული საქართველო ეიმედება და ძველ ლომგულთა დარი ქართველების მოვლინებას შესთხოვს არსთაგამრიგებს...

თქვენი პოეზიის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს თქვენი პროზა, რომელმაც ისეთ კრებულებში დაიგანა, როგორცაა „ფიქრი“, „ყველაფერსა და არაფერს შუა“, „ორანი“, „ზოლამ ბერეთე (ზღვის შვილი)“.

თქვენი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ჰაინრიხ ჰაინეს, ალექსანდრე პუშკინის, ანა ახმატოვას, მოლა ორანოს, ალექსანდრე ბლოკის, კონსტანტინე პაუსტოვსკის შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს.

თქვენი ლექსები თარგმნილია თურქულ, აზერბაიჯანულ, ლაზურ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ ენებზე.

სხვადასხვა დროს რედაქტორობდით ისეთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ ორგანოებს, როგორცაა გაზეთი „მავშალი“, ჟურნალი „მწერლობა - XXI“, გაზეთი „ლიტერატურა“, გაზეთი „აღდგომა“, „მთავარი გაზეთი“, მუშაობდით სახელმწიფო კანცელარიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელად, საქართველოს პარლამენტის კავკასიის საკითხთა მიმართულების მთავარ სპეციალისტად. პოსტინდუსტრიული „ახალი საზოგადოების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელად, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსად, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელად და ყველაგან უწარინად და საქმის ცოდნით უძღვებოდით და უძღვებით დაკისრებულ მოვალეობას.

დაჯილდოებული ხართ ილია ჭავჭავაძისა და რევაზ ინაუბილის სახელობის პრემიებით. ყველა გაგვახარეთ, როდესაც იტალიაში გამართულ მცირე პროზის კონკურსზე გრან-პრი მოიპოვეთ.

თქვენს მეგობრებს გვიმედობთ, როგორც ერთი გულანთებული ქართველი, რომელიც ჩვენს ულამაზეს და უმშვენიერეს კუთხეში - სამეგრელოში მტკიცედ იცავს საქართველოს ერთიანობის იდეასა და ურღვევობას.

ჩვენი ლაშა! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს შესანიშნავ შემოქმედს, ჭეშმარიტ მეციხოვნეს საქართველოსას, გისურვებთ დღევარდობას და მზვეგრელობას მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი



თამარ იასეშვილი

ივერთ ქვეყანავ!

ვუმერ შენს სახეს, შენს წმინდა სახეს, და მახსენდება, ჩვენი მამულის ძველი დიდება, ივერთ ქვეყანავ, ივერთ ქვეყანავ, ძველი დიდებით ვიოხებთ გულსა, თვალს ვერ გისწორებ, დედაო თამარ, ვერ დავაფასებ შენი ნაღვანარ, შენ გვასწავლიდი სიკეთის თესვას, შრომით და ბრძოლით ლელოს გატანას, მტრისა წინაშე ძმათა ერთობას, სამშობლოსათვის თავის დადებას, იმედს არ ვკარგავ ნათელ მომავლის, რასაც უქმნიდი შენს შთამომავალს, მუდამ გვიოხებ ღვთისა წინაშე, რათა იმრავლოს ქართველმა ერმა, რომ ბევრი გაჩნდეს ჭკვიანი სოფლად, არა ნაკლები მათი მიმდევარ, და დაასრულონ ჟამიანობა, რომელიც იქცა ჩვენს თანამდევარ, დრო-დროს, ჟამი-ჟამს მისდევდა, ცხოვრება წინ ვერ წავიდა, შენც კარგად უწყი უშრომლად, რაც ემართება ქვეყანას, ნალკოტ-საქცევი სამშობლო, ხშირად გვეცლება ხელიდან, სანთლით საძებარ გამხდარა, მამულზე მაფიქრალია, ბედის მუხთლობას ვაბრალებთ, ამ ჩვენსა უწინათობას, აბა ვის არგებს მუდმივად, გზის გასაყარზე დადგომა, ივერთ ქვეყანავ, ივერთ ქვეყანავ, მზე სიმართლისა გვიჩვენებს გზასა, მინდა გიხილო გალაღებული, როს გაიბრწყინებ სათავეში ბედნიერ ხალხთა, ღმერთმა მომასწროს ასეთ დროებას და არ დამცდება საყვედური ქართველ დღეთა.

მარტოობა

ეს მარტოობა, მიტოვებულ ალაგს მაგონებს, ზღაპრულფერებით თავისით რომ გაფერადდება, აქ ნაფიქრალი ოცნებაში ისევ მარტოობს, და ამ ოცნებას ჭაღარაც კი ვერ უშლის ვერას,

წყალობა იყო ჩემი ლექსთან დამეგობრება, ფიანდაზები დაუფინე მე ამ სტრიქონებს, მანათობელი ვარსკვლავი ხომ გზასაც უნათებს, მათი ხილვა კი მე მიფანტავს ნაღვლიან ფიქრებს,

სტროფი სტროფს მისდევს, ჯარისკაცად გვერდით დამიდგენ, და ამ ლექსებით მარტოობას ომი მოვუგე!

ღელა

მზისდარი იყო ამ ქვეყანაზე ეგ სათნო სახე, ვინცა გიხილა, ყველამა სთქვა შენი მშვენება, რა ლამაზია, ქალია თუ ქალღმერთი არის, არსად გვინახავს ამისთანა მშვენიერება, ცხოვრების გზაზე ბევრი შეგხვდა გულის ტკივილი, ტანჯვა-ვაება მუდამ იყო შენი თანმდევი, მაგრამ ღიმილი, მაინც ეკრა შენს ნათელ სახეს, ვერვინ ხედვიდა ღიმილის მიღმა მძიმე იარებს, იმ ყვავილნარში შენ რომ ქმნიდი მთელი ცხოვრება, შენმა ნაქარგმა ირმებმაც კი გაინავარდა, ბულბული კვლავაც დაიმღერებს თავის სიმღერას, ედემის ბაღში კვლავ იხარებს სხვადასხვა ვარდი, მაგრამ შენებრი ვერ იქნება ვერცერთი ვერა, ვარდი იყავი თავად ვარდი მაისის ვარდი.

გაზაფხული

მე ყველა მიყვარს, რაც შენში არის, დილა, საღამო, ეს გაზაფხული, დილა მზიანი, ხალისიანი, საღამო მშვიდი, დამაფიქრები, ო, როგორ მიყვარს მე გაზაფხული, ჩიტებით სავსე ეს ჩვენი ბაღი, მინა საკენკით მიმოფანტული, დამჯდარ მტრედების თავის ქანქარი, ყაყაჩოებით გადააპენტილი, დიდი მინდორი, გზისაპირებიც, იები ნაზად განაბულები, ცისა ფერებით დამშვენებული, იშლება ვარდიც თავმონონებით, ტოლს არვის უდებს ყვავილნარებში, მინა ყვავილით სურნელოვანი, ღვინის გარეშეც დამათრობელი, ო, როგორ მიყვარს მე გაზაფხული, კეთილსაწყისად დანესებული, და არ არსებობს არც არაფერი, რაც არ მახარებს ამ ბუნებაში!




ივეტა პაშვილი-დონხაძე

სიკეთე გაღამდება

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთისა მოივარდოს, ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს, მოყვარეთ და ამხანავთა თავის რიგეც რამე არგოს, სახელის ხე საჩრდილად წყლისა პირსა სამე დარგოს“ მეფე ვახტანგ VI

ზაურიმ სვენებ-სვენებით ამოათავა ქვა-ღორღიანი აღმართი და იქვე ძელსკამზე ჩამოჯდა ცაცხვის ჩრდილში, ცარიელი წყლის ჭურჭელიც იქვე მიანვინა მინაზე და დასიცხულმა შუბლი კისერში ჩაფენილი ცხვირ-სახოცით შეიშრო. ნაფუძვარზე დღეში ორჯერ ჩასვლა-ამოსვლა მისთვის ახლა დამღლევი იყო. შორს დარჩენილიყო მისი სიყმნის ნიღბი, — რა იცოდა მაშინ დაღლა რა იყო?! რვა ათეულზე მეტს ითვლიდა მისი სიცოცხლე, მაგრამ გუმინდელი დღესავით ახსოვდა გარდასული წლები, ახდენილი თუ აუხდენელი ოცნებები. მისი უბერებელი და კეთილი გული ყოველთვის ნაფუძვრებისკენ მიიწევდა. განა მთელი ბავშვობა იმ მინდორზე არ გაატარა თანატოლებთან ერთად? აქ ადრე მათ წინაპრებს უცხოვრიათ, შემდეგ საცხოვრებლად ზევით გზისკენ ამოწვევიან და სოფლის სხვადასხვა მხარეს დასახლებულან. ახლა მათ ნაფუძვარზე ზოგს ნათესები აქვს, ზოგი საქონლის საძოვრად იყენებს. მას შემდეგ საუკუნეზე მეტია გასული, მაგრამ ყველა ოჯახს თავისი წინაპრის დანატოვარი შენარჩუნებული აქვს და ანდერძით გადაეცემა თაობიდან თაობას. დიდებული სანახავი ტყიანი მთებით გარშემოტყმული და გრილი სითი ამრიალებული ნაფუძვარის არეზარე. მთიდან დაშვებული წერი-ალა წყარო ისეთი ლიკლიკით ჩაედინება ღელეში, თითქოს ეხმინებოდეს ხეებზე შეფენილ სხვადასხვა ჯურის ფრინველის მომაჯადოებელ გალობას. აქვე, უზარმაზარი იფანის ხის ქვეშ ფანატური ჩაუდგავთ, წყაროსთან ჩასასვლელი გაუკეთებიათ, მოუპირკეთებიათ და ნაადრევად გარდაცვლილი, კარგად აღზრდილი ახალგაზრდის სახელი დაურქმევიათ. ბაზალტის ქვაზე ამოტვიფრულია - ანდროს წყარო. წარსულში ჩაძირული ზაური შვილიშვილის შეძახილმა გამოიყვანა ფიქრებიდან; — ბაბუ, როგორ არიან ნარგავები? — უკვე მეორედ ეკითხებოდა ყმანვილი. — კარგად არიან ბაბუ! აბა, შენ იცი მომავალში როგორ მოუვლი — უთხრა ბიჭუნას და თავზე გადაუსვა დაკოჭრილი ხელი. ორი ცაცხვის ნერგი, რომელიც თანასოფლელებმა ერთი თვის წინ ჩამოიტანეს ტყიდან და რომელსაც ზაური მთელი გულით უვლიდა, ვისი სახელობის იქნებოდა ჯერ არ იყო ცნობილი. როგორც ჩანდა, ქალაქში მცხოვრები სოფლის საპატიო ადამიანებისთვის ინახავდნენ სიურპირზად. ზაური და მისი უფროსი ძმა ჯუმბერი, პატარები იყვნენ, როცა მათი მამა-ირაკლი დონხაძე სამამულო ომში გაიწვიეს. ძმებმა ბევრი გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ ერთმანეთის სიყვარულით და თანადგომით ყველაფერს გაუმკლავდნენ. საოცარი ძმობა ჰქონდათ. მუდამ ერთად იყვნენ, ცალ-ცალკე იშვიათად ნახავდით. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, სწავლა გააგრძელეს და მშობლიურ სკოლას დაუბრუნდნენ მასწავლებლად. არც მათმა შვილებმა უღალატეს მშობლების ტრადიციას და სხვაგან არსად წასულან — თავიანთ ფუძეზე გააგრძელეს ცხოვრება. ამ ზნეკეთილ-

მა ძმებმა მრავალი ღირსეული ადამიანი აღუზარდეს ქვეყანას. ისინი თავიანთ ღირებულებებს სოფელმხედველობას, ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდნენ თაობებს. დღესაც თვალსაჩინოა მათი გულწრფელი სიკეთე და კვლავაც დათესენ სიკეთის მარცვალს დროთუ დააცლით. ოთხმოცდარვა წლის ჯუმბერი სამშობლოს სადღეგრძელოზე უწინდებურად ომახიანად ამბობს გიორგი ლეონიძის სულში-ჩასადებარ სიტყვებს: „გულის ფესვიდან მინდა გიმღერო, და თუ ვერ გითხრა როგორ მიყვარხარ, შენ თვითვე ხეს, ბალახის ღეროს, ვკოცნი, ვეხვევი, ვეცყვი მიყვარხარ“. ცაცხვის ხე, რომლის ჩრდილშიც ბაბუა და შვილიშვილი საუბრობდნენ 1964 წელს ჟორა და ჯუმბერი დონხაძეებს დაურგავთ; სულ პანანინა ყოფილა, მაგრამ გაზრდილა, გაუხარია და სოფელიც გაუხარებია. ამჟამად ეს ცაცხვის ხე წრიულად არის შემოკავებული ცხაურით, აქვეა სამამულო ომში მონაწილე შინმოსვლელთა სტენდი. გულისხმიერ ადამიანს აქ პატივს მადგა და ფიცრის გრძელი სკამიც გაუკეთებია, შემოგარენიც გაულამაზებია და დაუმშვენებია. ამ უბანში გარდა დონხაძეებისა, სხირტლაძეები, კობახიძეები და დვლები (ცხოვრობენ. უბანი ყველა მათგანისთვის ერთი დიდი ოჯახია. მათ ადამიანური სითბო და სიყვარული აერთიანებთ. უბნის მამაკაცები თავისუფალ დროს სტენდთან იკრიბებიან. განსაკუთრებით ზაფხულში, როცა უბანი შევსებულია. საღამოობით მაგიდაზე ხშირად იმლება პურ-მარლი, გვიანობამდე ისმის დაუფინყარი ტრადიციული სადღეგრძელოები, უძველესი და მრავალმხიანი სიმღერების ტკბილი ჰანგები: „წინწყარო“, „წერეთელმა დაგვიბარა“, „სოფელი, ჩემო სოფელი“, „შინ მოუსვლელო სადა ხარ“ და სხვა. მოგეხსენებათ, რომ რაჭა მაღალმთიანი ადგილია. ზამთარში თითქმის დაცლილი მოსახლეობისაგან. ძირითადად მოხუცები რჩებიან, რომლებიც ერთმანეთის სიყვარულით, ერთმანეთთან თანადგომით აგრძელებენ ცხოვრებას და სოფელსაც სიცოცხლეს უზანგრძლივებენ. დღისით საყოფაცხოვრებო საქმით არიან დაკავებული შებინდებისა კი საქონელს დააბინავენ, დათოვლიან - დაჭირბულ შემსას თუშუქის ღუმელთან ან ბუხართან მიანყობენ გასაშრობად და თავადაც მიუსხდებიან ვახშმის მოლოდინში. ეს ამაგდარი მოხუცები ერთმანეთთანაც ხშირად იკრიბებიან. ერთმანეთს ხან ტკივილსა და სიხარულს უზიარებენ, ხან შვილებს და ქვეყნის მომავალზე საუბრობენ, ხან ახალგაზრდობაში თავსგადაამხდარ ამბებს იხსენებენ ზვანჭყარასაც შექცევიან და, ასე მიიპარება დრო, ხვალისდელ დღესთან შეხვედრის იმედით. წუთისოფლის ხანმოკლეობაზე ჩაფიქრებული ზაური კიდევ მრავალი კეთილი საქმის გაკეთებაზე ოცნებობს, მაგრამ სამემრისო გეგმებს ვეღარ ალაგებს. თუმცა იმედოვნებს რომ რაც არ უნდა მოხდეს, წამოწყებულ საქმეს ის თუ არა, მომავალი თაობა მაინც მიიყვანს ბოლომდე. ზაური კარგად აცნობიერებს სიცოცხლის ფასს, იცის რამდენად ღირებულია თითოეული დღე და ცდილობს ბოლომდე დაიხარჯოს სრულფასოვნად, რადგან ხვალ, შეიძლება უბრალოდ აღარც იყოს. ამიტომ ყველაფერს მოსწრებებს ცდილობს, უნდა რაც შეიძლება მეტი სიყვარული გასცეს, რომ საკუთარ თავთანაც ვალმოხდელი იყოს. ნაფუძვარზე ცაცხვების ხეების გაშენების ინიციატორები ჯუმბერი, ზაური და ამირან დონხაძეები იყვნენ. შემდეგ მათ ახალგაზრდებმაც დაუჭირეს მხარი და საქმემ სერიოზული სახე მიიღო. შესასვლელთან აბრაც გააკეთეს — „ცაცხვების ხეივანი“ უკვე ათამდე ნორჩი ცაცხვი შრილებს ნაფუძვარზე. ყველას თავისი წარწერა ამშვენებს. თითოეული მათგანი იმ ადამიანის სახელს ატარებს, რომელსაც სისხლში აქვს გამჯდარი თავისი ქვეყნის, თავისი კუთხის სიყვარული და ყოველთვის მის კეთილდღეობაზე ზრუნავს. ცაცხვებს სოფლის ღირსეული ადამიანების საპატივცემულოდ რვავენი, რათა მათი სახელები არ დაიკარგოს და მომავალშიც გაეგრძელოს სიცოცხლე დედამიწაზე. ცხოვრება იცვლება, ადამიანებიც იცვლებიან, უცვლელი მხოლოდ ღირებულებებია. იმედია ჩვენი სიცოცხლის გამაგრებლებელ მომავალს ექნება უნარი, განათლება და გონიერება ურთიერთ გატანის, წარსულის დიდების და მამულის დასაცავად.



გამოვიდა ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კულტუროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის სოსო სიგუას წიგნი „რევან მიშველადის პროზის დიაპაზონი“, რომლის რედაქტორის მურმან თავდიშვილის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „გამოჩენილი მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატ რევან მიშველადის შემოქმედებას არაერთი კრიტიკოსი თუ ლიტერატურის გულწრფელი მოყვარული გამოხმაურებია. ასე შეიქმნა წერილების, დისერტაციების, ცალკე გამოცემული წიგნების სერიები. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ის ნაშრომები, რომლებიც ცალკე წიგნებად გამოიცა და რომლებშიც გამოწვლილვით არის განხილული სახალხო მწერლის შემოქმედების ცალკე ეტაპები თუ თემატურ-იდეური სამყარო. სულ ახლახანს კი ეს ტრადიცია გაგრძელდა არაერთი პრემიის ლაურეატის, ცნობილი მწერლის, პროფესორ სოსო სიგუას წიგნით, სადაც მკითხველს კიდევ ერთხელ ეძლევა საშუალება, თვალი მიმოავლოს სახალხო მწერლის ღვაწლსა და რუდუნებას მშობლიური ენისა და ერის საკეთილდღეოდ“. ამის დასტურად კი ქვეთავების ჩამონათვალიც საკმარისი იქნება: რევან მიშველადის 25 ტომეულის გამო, ძელქვიანის ბინადარნი, ადამიანი და ექსპერიმენტი, ნოველა-სასწაული, რომანი სინამდვილის კვალდაკვალ, წამების პანორამა...



7 თებერვალს 17 საათზე მწერალთა სახლში (მაჩაბლის 13) საქართველოს მწერალთა კავშირმა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს მიუძღვნა საზეიმო ღონისძიება, რომელიც მისასალმებელი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა. სიტყვით გამოვიდნენ: რევან მიშველადე, სოსო სიგუა, ბადრი ქუთათელაძე, ზაალ ბოტკოველი, ნაირა მარშანია...

მამა ამირან ამირანაშვილმა დალოცა დამსწრე საზოგადოება და დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა. გაიმართა აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლექსის ალავერდობა.

მაყვალა გონაშვილმა რევან მიშველადეს დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია „ძლევა საკვირველი“ და მედალი გადასცა.

დასასრულს ბატონმა რევან მიშველადემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა დავით აღმაშენებლის განუმეორებელ როლზე ქართული სახელმწიფოს შექმნასა და განმტკიცებაში.



მე თუ სიტბო და სიყვარული უკვე დავკარგე, სიტკბო ნაღველში, დარიშხანში თავად გავაფლე. დროა მაკმაროთ წუთისოფლის ტანჯვა-ვარამი, ვეძებ ბილიკებს გასაქცევად, მაგრამ სად არი!..

მე სიყვარულის წვიმაგად მოვალ

მე მოვიარე გაზაფხულები და შემოდგომის კართან შევჩერდი, გადმოვალაგე მოგონებები, ზოგს ვინახავდი და ზოგს კი ვხევედი. შორს გაფრენილან ოცნების წლები, ვდიე და ვდიე, ვერ დავენიე, ისევ წარსულში თუ ვიქექები, გაცრეცილ ფურცლებს ვერ შეველიე... ვინ იცის,ნეტავ, ჩემი ზამთარი, იქნებ შორსაა, იქნებ ახლოა, მე სიყვარულის წვიმებად მოვალ, ბედმა თუ მეტი აღარ მადროვა!

ლალი-ელენე ლაზაშვილი

ვეკვა ბილიკებს გასაქცევად, მაგრამ სად არი

სევდიან გულზე ყველაფერი შავად ტრიალებს, კარგიც კარგია, მაგრამ ავი კარგი რად არი?! დამლამებია უცხო ქერქვეშ მე გზარეულს, ვეძებ ბილიკებს გასაქცევად, მაგრამ სად არი. სიმწრის ფილას წვეთ-წვეთად ვსვამ, ვერ გამოვცალე, ბნელი საწუთროს ლაბირინთი ვერ გამოვთვალე... გულში ლახვარი ბევრჯერ ჩამცეს, არ მიტირია, სულში ხელების ფათურისთვის დამიჩივლია, კარგი კაცობის სადღერძელოც კი შემისვია, თუმცა,ბევრისთვის ავი საქმეც კი შემინდვია.

ტრისტან გეგენავა

მზიანი ფიქრები

ფიქრებში ფიფქვით მზე შეიფრთხილებს, იესოს სისხლივით წმინდა და თბილი, დრო მოდის და ისე ძლიერად იალებს უმზეო ცარგვალის შვიდივე ღილი.

ლანდების ქაოსში ლალივით ბრწყინვალე, იმედად ინათებს ლაჟვარდი დილის, ჯებრებს გაარღვევს სინათლის დელგმა და აპრილის ჯეჯილში აიდგამს ენას.

ლელიანს ჩაკვდება ვისაც კი ემართა ამდენი სისხლი და ამდენი რწმენა. ღამეულ ქიმერებს მოსწყვიტეს მოედანს, ორფეოს დალოცავს ლამაზი ნყვილი.

ნიკეა კოსმიურ სინმინდეს მოიტანს, იებს და ენძელებს უთვალავ ღიმილს... ამაოდ, ამაოდ გვესვრიან შორიდან, სანუკვარ ბილიკით ჩვენ მაინც ვივლით!

ვეფხისტყაოსანს

შენ გულისთქმა ხარ, სულის ნაწილი და სიყვარულის ზღვა ხარ მღელვარე. შენ გადალახე დრო და მანძილი და სივრცეებში ახლაც ელვარებ.

შენ გულისთქმა ხარ და როგორც სისხლი, ცისფერ ძარღვებში ისე მიღვლავ. შენი მამულის ყოველი მისხლის მაცოცხლებელი შენ ხარ სიმღერა.

შენ გულისთქმა ხარ, ხატად განცდილი, დაბადებიდან ერის ენა ხარ. ომში ფარი და ბასრი მახვილი, გამარჯვებულის აღმაფრენა ხარ.

შენ ხარ მზიანი ღამის სიზმარი და რენესანსის ოქროს ზარი ხარ, შეყვარებულთა თვალის ცისკარი მათი სუნთქვა და თანამგზავრი ხარ.

შენ გულისთქმა ხარ, სულის ნაწილი და სიყვარულის ზღვა ხარ მღელვარე, შენ გადალახე დრო და მანძილი და სივრცეებში ახლაც ელვარებ.

თურქ მწერლებს! ჩვენო მეგობრებო! ქართველი მწერლები სულით-ხორცამდე შეძრა ტრაგიკულმა ცნობამ თურქეთში მომხდარი მინისძვრის შესახებ. ამ მინისძვრამ ხომ ათასობით უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა - ბავშვები, მოხუცები, ახალგაზრდები, რომლებიც ხვალინდელი დღის იმედით ცოცხლობდნენ, უყვარდათ, სწამდათ ნათელი მომავლისა და ყველაფერს აკეთებდნენ ამ მომავლის მოსახლოებლად. გვიჭირს, თუნდაც სიტყვებით გამოვხატო ჩვენი მწუხარება და გულისტკივილი ამ არნახული ტრაგედიის გამო და მიუხედავად ამისა, მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი კეთილი მეზობელი თურქეთი გამოინახავს შინაგან ძალას თავსდატეხილი უბედურების დასაძლევად. თქვენს გვერდით გვიგულეთ, ჩვენო ძვირფასო თანამოქალაქეო!

საქართველოს მწერალთა კავშირი.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა პროფესორი

დავით კალმანიძე

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მსახიობი

ჯემალ ღალანია

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

